პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის - ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 106 (13227) | პარასკევი, 7 მაისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

მეგობრული ვიზიტით

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით 6 მაისს მოსკოვიდან ბერლინს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს დღესასწაულში ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 20 წლისთავის გამო. დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა გ. ი. ვორონოვმა, კ. ტ. მაზუროვმა, დ. ს. პოლიანსკიმ, ა. ნ. შელეპინმა, ი. ვ. ანდროპოვმა, ა. პ. რუდაკოვმა და სხვებმა. (საკდესი).

ბერლინი, 6 მაისი. (საკდესი). დღეს აქ ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 20 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 6 მაისს მოსკოვიდან პრაღაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ფაშისტ [illegible] ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 20 წლისთავის გამო. დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პ[illegible] ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ა. პ. კირილენკომ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. დემიჩევმა, ი. ვ. ანდროპოვმა და სხვებმა. (საკდესი).

პრაღა, 6 მაისი. (საკდესი.). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, დღეს პრაღაში ჩავიდა.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და ჩვენი დიადი გამარჯვება

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების მე-20 წლისთავს აღნიშნავენ. ეს ომი მთელი პროგრესული კაცობრიობის ხსოვნაში დარჩა როგორ, ისტორიაში ყველაზე სამართლიანი ომი. ჩვენი გამარჯვება გერმანიის ფაშიზმზე — ეს არის სოციალური პროგრესის ძალების, ახალი, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციულ, აგრესიულ ძალებზე. „ამ ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ. — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — დაადასტურა, რომ მსოფლიოში არ არის ძალები, რომლებსაც შეეძლოთ შეაჩერონ სოციალისტური საზოგადოების წინსვლითი განვითარება“.

წყაროები საბჭოთა ხალხის და მისი არმიის დაუძლეველი ძლიერებისა, რომლებმაც განადგურეს უძლიერესი მტერი, სოციალისტური წყობილების თვით ბუნებაშია. ერთ-ერთი ეს წყაროა მეგობრობა სსრ კავშირის ხალხებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან სოციალისტური წყობილებით, საერთო საარსებო ინტერესებითა და მიზნებით. კომუნისტური პარტიის მიერ შეკავშირებული არიან მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშის ქვეშ.

ნეიანაღმდეგ კაპიტალიზმისა, რომელიც თიშავს, ერთმანეთს აშორებს ერებს, არღვევს ყოველგვარ კავშირს მათ შორის, სოციალიზმი და კომუნიზმი სახავს მიზნებსა და იდეალებს, რომლებსაც. ლენინის სიტყვებით, „მიუხედავად მთელი სიძნელისა, ყველა დაბრკოლებისა, მილიონობით და მილიონობით მშრომელნი შეუერთდებიან“. სსრ კავშირის ხალხთა შეკავშირების დიადი ძალა გახდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, კომუნიზმის დიადი იდეები. ომში საბჭოთა ხალხების გამარჯვება ამავე დროს იყო ზეიმი მარქსისტულ-ლენინური იდეებისა, სოციალისტური იდეოლოგიისა, დემონსტრაცია მისი უპირატესობისა ფაშისტური ბნელეთისმოციქულობის და კაცთმოძულეობის რასისტული იდეოლოგიის წინაშე.

ფიქრით რომ ვფიქრობდით წარსული ომის მრისხანე ამბებს, ვხედავთ, რომ ჩვენს მიწაწყალზე პირველი ნაბიჯებისთანავე მტერი წააწყდა საბჭოთა ხალხების მეგობრობის ურყევ ძალას. ამ ომში წარმოებდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სოციალიზმსა, მთელი კაცობრიობის მომავალს რომ წარმოადგენს, და ფაშიზმს შორის, რომელიც საბჭოთა ხალხსა და სხვა ხალხებს ემუქრებოდა არა მარტო დამონებით, არამედ თითქმის სრული მოსპობითაც.

ბრძოლების ველებზე წყდებოდა სსრ კავშირის ხალხების სოციალისტურ მონაპოვართა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ბედი. აი რატომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალი უმაგალითო გმირობითა და ერთსულოვნებით დაირაზმა ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ საბჭოთა სამშობლოს დასაცავად.

ომმა მთელი სიხრულით ცხადყო, თუ რა მტკიცე და ურყევია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, რა ღრმაა მისი ფესვები. ასეთი მეგობრობა, როგორც ცნობილია, ერთბაშად როდი ჩამოყალიბებულა. ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერის მშრომელებმა შექმნეს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელმაც სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა რესპუბლიკის მტრების განადგურებაში. სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში შემდეგ ჩამოყალიბდნენ ახალი, სოციალისტური ერები, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან ბურჟუაზიული ერებისაგან თავიანთი ეკონომიური საფუძვლებითა და საზოგადოებრივი მისწრაფებებით, თავიანთი კლასობრივი შემადგენლობითა და სულიერი სახით.

სოციალისტური ერების წარმოქმნა მოწმობდა იმას, რომ სსრ კავშირში ჩამოყალიბდა ახალი ისტორიული ერთობა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისა, რომლებსაც საერთო დამახასიათებელი ნიშნები აქვთ და გაერთიანებული არიან ერთ მთლიანობად — საბჭოთა ხალხად. ძირეულად შეიცვალა ურთიერთდამოკიდებულება მის შემადგენელ ერებს შორის. უნდობლობა, რომელიც კაპიტალისტური ჩაგვრის პირობებში არსებობდა, შეიცვალა თანამშრომლობით, ეროვნულმა შუღლმა ადგილი დაუთმო ხალხთა მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. მთლიანად გამართლდა მარქსისა და ენგელსის სიტყვები იმის შესახებ, რომ სოციალიზმის დროს ერის შიგნით კლასების ანტაგონიზმთან ერთად გაქრება ერების მტრული დამოკიდებულებაც ერთმანეთს შორის. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, იდეურად და პოლიტიკურად მჭიდროდ შეკავშირებულნი, სსრ კავშირის ერები მოქმედებენ როგორც ერთი მთლიანობა შინაგან სიძნელეთა გადალახვისათვის ბრძოლაშიც და გარეშე მტრის წინააღმდეგაც.

„ბარბაროსას“ გეგმას რომ ადგენდნენ ფაშისტური გერმანიის მეთაურები სსრ კავშირს განიხილავდნენ როგორც „უამრავ ერთა ხელოვნურ და ფუვე გაერთიანებას“, როგორც თავისებურ „ეთნიკურ კონგლომერატს“, რომელიც მოკლებულია შინაგან ერთიანობას და ამიტომ სიცოცხლისუნარიანი არ არისო. ჰიტლერელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ისინი მალე მოახერხებდნენ განხეთქილების შეტანას რუს ხალხსა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებს შორის. ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ არის მასალები გერინგის „მწვანე საქაღალდისა“, რომელიც ხელში ჩაიგდეს საბჭოთა ჯარებმა. „ბალტიისპირეთის ქვეყნებში, — მითითებული იყო ერთ-ერთ დირექტივაში საოკუპაციო ნაწილებისა და ქვეგანაყოფებისადმი, — გერმანიის ინტერესებისათვის გამოიყენეთ წინააღმდეგობანი ლიტველებს, ესტონელებს, ლატვიელებსა და რუსებს შორის... სამხრეთში ჩვენი ინტერესებისათვის გამოიყენეთ შესაძლო წინააღმდეგობანი უკრაინელებსა და ველიკორუსებს შორის... კავკასიაში ჩვენი ინტერესებისათვის გამოიყენეთ წინააღმდეგობანი ადგილობრივ მკვიდრებს — ქართველებს, სომხებს, თათრებსა — და რუსებს შორის...“.

ცხოვრებამ გააკამტვერა ჰიტლერელ დამპყრობთა ვარაუდები. მტერი უძლური აღმოჩნდა შეეერყია მეგობრობა საბჭოთა ხალხებისა, რომლებიც ერთიან ოჯახად გამოვიდნენ გერმანიის ფაშიზმის, მხეცური ნაციონალიზმის მისი იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ. საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ დაამტკიცა, რომ იგი ერთა განვითარების საუკეთესო ფორმა, მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხთა თანამშრომლობის ორგანიზაციის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმაა.

დიდი სამამულო ომი ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ომი იყო. საბჭოთა კავშირის თვითეული ხალი ცდილობდა ღირსეული წვლილი შეეტანა მტრის განადგურებაში, ფრონტზე გზავნდა ყველაზე ერთგულ თავის შვილებს. საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივმა ბრძოლამ კიდევ უფრო განამტკიცა ყველა ეროვნების საბჭოთა ადამიანების ერთიანობა. როგორც მ. ი. კალინინი აღნიშნავდა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ჭეშმარიტმა მეგობრობამ, რომელიც მზრუნველობით შეიქმნა შვიდობიან დროს, ომის წლებში საზღვარგარეთ გააკვირვა არა მარტო ჩვენი მტრები, არამედ მეგობრებიც.

საერთო საფრთხისა და მიზნის ერთიანობის ღრმა შეგნებით, დედა-სამშობლოსადმი სიყვარულის მხურვალე გრძნობით და მგზნებარე მოწოდებით — არ დაეზოგათ სისხლი და სიცოცხლე მის დასაცავად — გამსჭვალულია მოწოდებანი, რომლებითაც მოკავშირე რესპუბლიკების ხალხები მიმართავდნენ ფრონტელ მეომრებს. ახლაც აუღელვებელად ვერ წაიკითხავ აზერბაიჯანელი ხალხის წერილს აზერბაიჯანელი მეომრებისადმი, რომელიც „პრავდაში“ გამოქვეყნდა 1943 წლის 21 აპრილს.

ჩვენო მამაცო მეომრებო! უკვე წელიწადნახევარზე მეტია. რაც თქვენ. მოძმე ხალხთა შვილების მხარდამხარ, ებრძვით საძულველი გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. თქვენი სისხლით ისტორიაში წერთ ახალი, უმაგალითო მოთხრობის ფურცლებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე!.. მეგობრობა მეგობრობის წილ, სიკეთე სიკეთის წილ! ჩვენი ღირსება მოითხოვს, რომ „სანამ მთელი საბჭოთა მიწაწყალი არ განთავისუფლებულა გერმანელ დამპყრობელთა უღლისაგან, არც ერთმა აზერბაიჯანელმა მახვილი არ ჩაიგოს ქარქაშში“.

მეზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი საბრძოლო გმირობისათვის ალაფრთოვანებდა სხვადასხვა ეროვნების მეომრებს. ჩვენი მრავალეროვანი არმია მასობრივი გმირობის არმია გახდა. ამის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ომის წლებში დაჯილდოებულ-ფრონტელთა შორის 100-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები არიან. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 7.998 რუსს, 2.021 უკრაინელს, 299 ბელორუსს, 161 თათარს, 107 ებრაელს, 96 ყაზახს, 90 ქართველს, 89 სომეხს, 67 უზბეკს, 63 მორდველს, 45 ჩუვაშს, 44 აზერბაიჯანელს, 38 ბაშკირს, 31 ოსს, 16 თურქმენს, 15 ლატვიელს, 15 ტაჯიკს, 12 ყირგიზს, 12 ლატვიელს, 10 კომის, 10 უდმურტს, 9 ესტონელს, 8 კარელს, 8 ყალმუხს, 6 ადიღეელს, 6 ყაბარდოელს, 4 აფხაზს, 2 მოლდაველს, 2 იაკუტს, 1 ტუველს და კიდევ ბევრი ეროვნების წარმომადგენლებს.

სხვადასხვა ეროვნების მეომართა ურღვევი ძმობის შესანიშნავ მაგალითად შევიდა დიდი სამამულო ომის მატიანეში 28 პანფილოველი გვარდიელის ბრძოლა ფაშისტთა ათობით ტანკის წინააღმდეგ მოსკოვის ახლოს. ასეულის პოლიტხელის ვ. გ. კლოჩკოვის მგზნებარე სიტყვები: „რუსეთი დიდია, მაგრამ უკანდასახევი აღარ არის — ჩვენს უკან მოსკოვია!“ გამოხატავდა საერთო აზრსა და ერთიან ნებისყოფას როგორც რუსების, ისე უკრაინელების, ყაზახების და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისას, რომლებიც იბრძოდნენ აქ, დუბოსეკოვოს ამეერიდან განთქმულ ახალციხეზე.

უკვდავია გმირობა რუსი ჯარისკაცის ალექსანდრე მატროსოვისა, რომელიც მკერდით აფარა მტრის ძლიმწყრი საცეცხლე წერტილს ამბრაზურას, რათა წინსვლის გზა გაეხსნა თავისი თანამებრძოლი ამხანაგებისათვის. ეს გმირობა გაიმეორა სხვა ეროვნებათა ათობით მებრძოლმა. მათ შორის იყვნენ უზბეკი ტ. ერჯიგიტოვი, ესტონელი ი. ი. ლაარი, უკრაინელი ა. ე. შევჩენკო, ყირგიზი ჩ. ტულებერდიევი, მოლდაველი ი. ს. სოლტისი, ყაზახი ს. ბ. ბაიმაგამბეტოვი და ბევრი სხვა — 200-ზე მეტი საბჭოთა მეომარი.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შვილები იცავდნენ მოსკოვსა და ლენინგრადს, კიევსა და სევასტოპოლს, ოდესასა და ვორონეჟს, გმირობის სასწაულები მოახდინეს ვოლგასა და დნეპრზე, ორიოლ-კურსკის რკალზე და ბერლინში გაჩაღებულ ბრძოლებში. და შემთხვევითი როდია, რომ გამარჯვების ალისფერი დროშა რაიხსტაგზე სხვადასხვა ეროვნების გმირმა მეომრებმა აღმართეს...

სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანების ერთგულებამ სოციალისტური სამშობლოსადმი, მათმა საბრძოლო მეგობრობამ ცოცხალი განსახიერება ჰპოვა პარტიზანული მოძრაობით მტრის ზურგში. ჰიტლერელი დამპყრობლების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. საყოველთაო-სახალხო პარტიზანული ბრძოლის ალი მოედო მაშინ ბელორუსიას, უკრაინას, მოლდავეთს, რუსეთის ცალკეულ ოლქებს, რომლებიც მტერს ჰქონდა დაკავებული. ხალხის პარტიზანული მოძრაობა ფართოდ გაჩაღდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ტერიტორიაზეც — ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში, რომლებიც, როგორც ცნობილია, ფაშისტურ თავდასხმამდე მხოლოდ ცოტახანი ადრე გაერთიანდნენ საბჭოთა სახელმწიფოსთან. ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პატრიოტები, რუსეთის ფედერაციისა

(დასასრული მე-2 გვერდზე)

სახალხო გმირობის ფოტომატიანე

ბერლინი. რაიხსტაგის იერიში. ფოტო ე. ხალდეისა.



ვლადიმერ სეხნიაშვილი, საესკადრო ნაღმოსან „ბესპოშჩადნის“ პირველი სტატიის ზემდეგი, ხომალდზე ქვემეხნიერ მეთაური, სევასტოპოლისა და კავკასიის დაცვის მონაწილე. დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლით „მამაცობისათვის“. შავი ზღვის ფლოტის ხუთ საუკეთესო მეზღვაურს შორის 1943 წელს იგი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა დაჯილდოვა ორდენით შესანიშნავი სამსახურისათვის. მე ამ ხომალდზე ვიყავი. სეხნიაშვილისათვის ორდენის გადაცემის შემდეგ. ვნახე. რა გულთბილად ულოცავდნენ მას თანამოსამსახურე ამხანაგები. შემდეგ ერთმანეთს დავემშვიდობეთ, როგორც კარგი მეგობრები. მაგრამ 1943 წლის შემოდგომაზე, ყირიმის განთავისუფლების დღეებში, ხომალდი, რომელზეც იგი მსახურობდა, მტრის თვითმფრინავებმა დაბომბეს. ხომალდს პირდაპირ მოხვდა ბომბი. ფაშისტი სვავები ტყვიამფრქვევებით ხვრეტდნენ წყალში მყოფ მეზღვაურებს, რომლების გადარჩენასაც ჩვენი კატარლები ცდილობდნენ. ამ ოპერაციის დროს ბევრნი დაიღუპნენ. შესანიშნავი მეზღვაურის ვლადიმერ სეხნიაშვილის ბედზე ვეღარაფერი შევიტყეთ.

ტექსტი და ფოტო ე. ხალდეისა.

სტუმრად შვილობილთან

ბევრი სიმწარე და ტანჯვა მოუტანა ომმა უბრალო საბჭოთა ქალს ეკატერინე მიტროფანეს ასულ შლიაპკინას — უკრაინის სსრ კრასნოკუტსკის რაიონის სოფელ პერვაია მიხაილოვკას მცხოვრებს. მან ორი ვაჟიშვილი დაკარგა ფრონტზე, რომლებიც მამაცურად დაეცნენ ჰიტლერელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

— მაგრამ ცხოვრებამ მაჩუქა შვილი, — გვეუბნება ეკატერინე შლიაპკინა, — რომელიც ღვიძლ შვილებზე ნაკლებად როდი მიყვარს.

— დიახ, — დასძინა საბჭოთა კავშირის გმირმა ზაქარია სოლომონის-ძე ხიტალიშვილმა, — ეკატერინე მიტროფანეს ასულმა მიხსნა სიკვდილისაგან...

1941 წლის ოქტომბერში ხიტალიშვილის თვითმფრინავი მტრის აეროდრომის დაბომბვის შემდეგ უკან ბრუნდებოდა. თვითმფრინავი „მესერშმიდტებმა“ ჩამოაგდეს. მფრინავი გადარჩა, მრავალშვილიანი დედა სიკვდილს არ შეუშინდა და თავის ოჯახთან ერთად სიმედოდ დამალა მფრინავი.

ომი დამთავრდა. ზ. ხიტალიშვილი დიდხანს ეძებდა თავის მხსნელს, მაგრამ ამაოდ. — მას ახლა ახსოვდა სოფელი, სადაც ეკატერინე შლიაპკინა ცხოვრობდა. ხარკოვის საოლქო გაზეთის „კრასნოე ზნამიას“ დახმარებით 24 წლის შემდეგ როგორც იქნა იპოვა თავისი მეორე დედა.

დიდი სიხარული სუფევს ხიტალიშვილის ოჯახში. მეოთხე დღეა თბილისში სტუმრად არის თავის შვილობილთან ეკატერინე მიტროფანეს ასული. იგი უველა თბილისელისათვის სასურველი და საყვარელი სტუმარია.

6 მაისს ე. მ. შლიაპკინა, ზ. ხ. ხიტალიშვილი, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის დედა ნინო ალექსანდრეს ასული გამცემლიძე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში მიიწვიეს.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ი. ლოლაშვილი გულითადად მიესალმა სახელოვან საბჭოთა პატრიოტებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით მან სამახსოვრო საჩუქრები გადასცა ე. მ. შლიაპკინას და ნ. ა. გამცემლიძეს.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის დედა — ნინო გამცემლიძე, საბჭოთა კავშირის გმირი ზაქარია ხიტალიშვილი და ეკატერინა შლიაპკინა.

ფოტო ი. მღებრიშვილისა. (საქდესის ფოტოკორნეტა).

ჩვენს დიად სამშობლოში

ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

საზეიმო კრება კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში

მოსკოვი, 6 მაისი. (საკდესი). დღეს მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებმა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში საზეიმო კრებით აღნიშნეს მომავე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეროვნული დღესასწაული — ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 20 წლისთავი.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი და სხვები. აქვე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ზდენეკ ფირლინგერის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიისა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, ფინანსთა მინისტრის რიჰარდ დვორჟაკის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ოდრეხ პაელოვსკი, საელჩოს თანამშრომლები.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა.

საზეიმოდ აღიერდა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 20 წლისთავის შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. შელეპინმა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „წყალწყალეგულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწყალეგულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოდეს მედლით „წყალწყალეგულთა გადარჩენისათვის“

მურუსიძე ნოე ილარიონის-ძე — ამბროლაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის სახლმმართველი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაჭაძე.

თბილისი,
1965 წლის 28 აპრილი.

საუბარი განის დელეგაციის წევრებთან

6 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო განის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელიც მოსკოვში იმყოფება. დელეგაციას მეთაურობს განის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი და განის კონვენციის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი კოჭო ბოტსიო. გაიმართა საუბარი, რომელშაც გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სოლიდარობის კონფერენციაზე

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის IV კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად 5 მაისს მოსკოვიდან აკრაში გაფრინდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ფ. ა. ტაბეევი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ნ. ჯანდილდინი, საბჭოთა კავშირის სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის დირექტორი ბ. გ. გაფუროვი, საბჭოთა კავშირის სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მწერალი ჩ. ა. აიტმატოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი კ. ა. ჯუსკინოვი, უზბეკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. ხ. აბდულაევა და სხვები. (საკდესი).

კოსმონავტები სტუმრად საკადეტიელებთან

მოსკოვი, 5 მაისი. (საკდესის კორ.). მოსკოველ ჟურნალისტებს ტრადიცია აქვთ პრესის დღეს შეხვდნენ თავიანთ რეპორტაჟების გმირებს. ასე იყო დღესაც, როცა კოსმონავტები პაველ ბელიაევი და ალექსი ლეონოვი შეხვდნენ საკადეტიელებს.

კოსმონავტებმა ილაპარაკეს ხომალდის „ვოსხოდ-2“ ფრენის ზოგიერთი მომენტის შესახებ.

შეხვედრის დასასრულს ნაჩვენები იყო ფერადი ფილმი, რომელიც გადაიღეს ხომალდის „ვოსხოდ-2“ ფრენის დროს.

საზეიმო სხდომა მოსკოვში

ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 20 წლისთავისა და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კვირეულის აღსანიშნავად 5 მაისს კრემლის თეატრში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება. ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლების ვეტერანები, მუშები და მოსამსახურეები, დედაქალაქის ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა მხურვალედ მიესალმნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი ხალხო პალატის თავმჯდომარის მოადგილეს, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ რ. ფ. დემენტიევამ.

მოხსენება — ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 20 წლისთავი — წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ვ. პეი

(დასასრული)

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და ჩვენი დიადი გამარჯვება

და ბელორუსიის პარტიზანებთან მჭიდროდ დაკავშირებულნი, მათგან ყოველნაირ დახმარებასა და მხარდაჭერას იღებდნენ და აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ.

სამამულო ომის წლებში პარტიზანული მოძრაობა უაღრესად ხალხური მოძრაობა იყო, იგი შთაგონებული იყო პარტიის დიადი იდეებით, მისი პოლიტიკით, განსახიერებდა მთელი საბჭოთა ხალხის მაღალ მორალურ სულისკვეთებას, მხურვალე პატრიოტიზმსა და შეკავშირებას. სახალხო შურისმგებელთა შორის იყვნენ ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის შვილები — ქალები და ვაჟები.

ფრონტზე საბჭოთა მეომრების გმირობა და მტრის ზურგში საყოველთაო-სახალხო ბრძოლის მასობრივი ხასიათი მკაფიოდ გამოხატავდა საბჭოთა ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ და იდეურ ერთიანობას, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის სოციალისტურ პატრიოტიზმსა და მეგობრობას. პარტია დაუცხრომლად ზრდიდა სამშობლოს დამცველებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის სულისკვეთებით. სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა, მათი რწმენა გამარჯვებისა, საერთო მისწრაფება გაენადგურებინათ საძულველი მტერი—ყოველივე ეს დაგვეხმარა იმაში, რომ გაგვეძლო მტერთან შერკინებაში და მიგვეღწია მასზე სრული გამარჯვებისათვის.

ერთიანი ოჯახის გრძნობა აღაფრთოვანებდა და მჭიდროდ რაზმავდა საბჭოთა მეომრებს ფრონტზე. ხალხთა მეგობრობა და ამხანაგური ურთიერთდახმარება იყო ერთ-ერთი წყარო საბჭოთა ზურგის სასიცოცხლო ძალისა და ურღვევი სიმტკიცისა.

„ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!" — ამ ფიქრით, ამ საზრუნავით ცხოვრობდნენ ყველა ეროვნების მილიონობით მშრომელნი. ფრონტზე წასულთა ნაცვლად ჩარხებთან, ბრძმედებთან, მარტენებთან, შახტებისა და სამადნეების სანგრევებში დგებოდა ახალი შვილება — ქალები, ბებუები და ქალიშვილები, მოზარდები, მოხუცები. სხვადასხვა იყო მათი ენა, ჩვეულებანი. მაგრამ ისინი ღვიძლი ძმები და დები იყვნენ სულისკვეთებით, მისწრაფებებით, წრთობით — საბჭოთა ადამიანები.

ხალხთა მეგობრობის ძალამ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი ომის დასაწყისი პერიოდის რთულ პირობებში, როცა მტრის შემოტევასთან დაკავშირებით სროლისა და დაბომბვის დროს წარმოდგა ადამიანების, ქარხნების, მოწყობილობის, ნედლეულისა და საობობის უდიდესი ადგილგადანაცვლება დასავლეთი რაიონებიდან ჩვენი ქვეყნის სიღრმეში. ევაკუაციამ მოიცვა რვა მოკავშირე რესპუბლიკის — უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, კარელია-ფინეთის რესპუბლიკებისა და რუსეთის ფედერაციის ბევრი ოლქის მრეწველობის მთელი დარგები. ადამიანების გამოყვანა და ტექნიკის გამოზიდვა, მათი ადგილგადანაცვლება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. ევაკუირებული საწარმოების აწყობა, დადგმა და ამოშვება შესანიშნავი ფურცელია მტერზე გამარჯვებისათვის მუშების, ტრანსპორტელების, ყველა საბჭოთა ადამიანის გმირული ბრძოლის მატიანეში.

ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი მოკლე ვადაში გადაქცეულ იქნა სამხედრო-სამრეწველო წარმოების ძირითად ბაზად. იქ, მაგალითად, ლენინგრადელთა, ურალელთა, ციმბირელთა, უკრაინელთა თავდადებული შრომით შეიქმნა ტანკების წარმოება. საბჭოთა ადამიანების ერთიანობისა და ძმობის სიმბოლოდ დარჩება ისტორიაში ის ღირსშესანიშნავი ფაქტი, რომ ჩელიაბინსკის სატრაქტორო ფაბრიკის ბარკოვის დიზელის ქარხნებთან ლენინგრადის კიროვის ქარხნის გაერთიანების შედეგად წარმოიშვა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი ტანკსამშენებლო საწარმო, რომელსაც ხალხმა „ტანკოგრადი" შეარქვა.

სამხრეთის მეტალურგიის დროებით დაკარგვის გამო ლითონით ჩვენი ქვეყნის მომარაგების მთელი სიმძიმე მხრებზე დააწვა ურალისა და დასავლეთ ციმბირის მუშებს. მაგნიტოგორსკის, ნიჟნი ტაგილის, კუზნეცკის კომბინატების, ზლატოუსტისა და სხვა ქარხნების მეტალურგები ძალღონისა და დროის დაუზოგავად შრომობდნენ. მეფოლადეები ნურულა ბაზეტოვი ვერხ-ისეტსკის მეტალურგიულ ქარხანაში, იბრაგიმ ვალეევი და დიმიტრი სიდოროვაკი „ურალმაშში" გამოვიდნენ ყოველ აგრეგატზე ფოლადის მაქსიმალური ათმევისათვის შეჯიბრების ინიციატორებად. ომის დაწყებიდან უკვე ოთხი თვის შემდეგ ხარისხოვანი ნაგლინის გამოშვება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ერთიორად გაიზარდა ომამდელთან შედარებით.

მტრის განადგურებაში დიდი წვლილი შეიტანეს უაზახეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების ინდუსტრიის მშრომელებმა. უაზახეთში, მაგალითად, ევაკუირებული იყო 142 ქარხანა. ომის წლებში ძლიერ გაიზარდა უარაგანდის ქვანახშირის აუზის, ემბის ნავთობის სარეწების, რესპუბლიკის ფერად მეტალურგიის მნიშვნელობა. სპილენძი, ტყვია, ფეროშენადნობები აუცილებლად საჭირო იყო იარაღის საწარმოებლად. და ჩვენს ქვეყანას შედგამ ეხსომება ჩიმკენტისა და ლენინგრადის ტყვიის ქარხნების, უსტ-კამენოგორსკის ტყვია-თუთიის კომბინატის, ბალხაშისა და კარსაკპაის სპილენძსადნობი ქარხნების, კოუნრადისა და ჯეზკაზგანის სპილენძის სამადნეების, მოლიბდენის სამადნე „აღმოსავლეთ კოუნრადის", აქტიუბინსკის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივების გმირული შრომა. სულ უფრო მეტ სათბობს იძლეოდნენ უარაგანდის მეშახტეები, ემბის, აგრეთვე თურქმენეთის მენავთობეები.

საბჭოთა არმიის ერთ-ერთი არსებული გახდა უზბეკეთი. უკვე ომისწინაწლებში აქ აშენდა და ამოქმედდა ასობით ახალი საწარმო. ომის პირველ თვეებში დამონტაჟდა და ამუშავდა რესპუბლიკაში ევაკუირებული 90 ქარხანა და ფაბრიკა. უზბეკეთში ჩასული რუსი, უკრაინელი, ბელორუსი მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები თავიანთ გამოცდილებასა და ცოდნას გადასცემდნენ ადგილობრივ ეროვნებათა მუშებსა და სპეციალისტებს. რესპუბლიკის მრეწველობა ომის წლებში განუწყვეტლივ ზრდიდა ქვანახშირის, ნავთობის, სპილენძის, ტყვიის, ვოლფრამისა და მოლიბდენის მოპოვებას, ელექტროენერგიის გამომუშავებას, საკვებლისა და სამრეწველო მასალების, აგრეთვე მოხმარების საგნებისა და სურსათის გამოშვებას.

ომის დასაწყისში საბჭოთა კავშირის ნავთობის ძირითადი ბაზა აზერბაიჯანი იყო, რესპუბლიკის მენავთობეები უდიდეს სიძნელეებს ძლევდნენ და მუდამ იყვნენ ნავთობის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირველ რიგებში. მან 48-ჯერ მოიპოვეს პირველობა ამ შეჯიბრებაში და 14-ჯერ — თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ფრონტზე ადამიანების წასვლის გამო ბრიგადების რიცხვი ნავთობის მრეწველობაში ორჯერ და მეტად შემცირდა. დარჩენილნი ფრონტულად მუშაობდნენ, დღედაღამ არ ტოვებდნენ სარეწებს. აზერბაიჯანის ათასობით მუშა და სპეციალისტი უწყობდა ხელს ნავთობის მრეწველობის შენებასა და განვითარებას ბაშკირეთში, ვოლგისპირეთში, თურქმენეთში და ჩვენი ქვეყნის სხვა აღმოსავლეთ რაიონებში. ზურგში გმირული შრომით ისახელეს თავი საქართველოსა და სომხეთის ხალხებმა.

გმირ მუშათა კლასთან ხელიხელჩაკიდებულნი ეედდნენ მტერზე გამარჯვებას მომძე რესპუბლიკების მილიონობით სოფლელი მშრომელნი. თუ ჩვენი მრეწველობა ომის პერიოდში არმიისათვის იარაღისა და საჭურვლის წარმოების საიმედო ბაზა იყო, სოფლის მეურნეობა ფრონტსა და ზურგს სურსათითა და ნედლეულით უზრუნველყოფდა. საკოლმეურნეო წყობილებამ ღირსეულად გაუძღო ომიანობის წლების განსაცდელს, ცხადყო სოფლის მეურნეობის გაძღოლის სოციალისტური სისტემის უცილობელი-უპირატესობანი.

ხალხთა მხოლოდ მეგობრობამ და ურთიერთდახმარებამ შეგვაძლებინა დაგვეძლია უმაგალითო სიძნელენი არმიისა და ხალხის მომარაჯებაში, ცნობილია, რომ ომის პირველ პერიოდში ჩვენი პურის უმდიდრესი რაიონები მტერმა იგდო ხელთ. ჩვენმა ქვეყანამ სათესი ფართობების თითქმის ნახევარი დაკარგა. ფრონტისა და ზურგის სურსათით მომარაგების მთელი სიმძიმე აღმოსავლეთ რაიონებს დაეწვა. სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობის მაღალი შეგნებით შრომობდნენ ომის წლებში ვოლგისპირეთისა და ურალის, ციმბირისა და უაზახეთის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის მრეწველობის მოქმედნი. ეს რაიონები მარცვლის, შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი და ტექნიკური კულტურების, მეცხოველეობის პროდუქტების ძირითადი მწარმოებლები გახდნენ. უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის სოფლის მშრომელებმა იწყეს არა მარტო ბამბის მოყვანა, არამედ დიდ მასივებზე მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის თესვაც. ყირგიზეთის კოლმეურნეები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი შაქრის ჭარხალი და მეცხოველეობის პროდუქცია მიეცათ ქვეყნისათვის. უაზახეთის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განუწყვეტლივ მზარდი რაოდენობით აწარმოებდნენ ხორცს, რძეს, მატყლს. კოლმეურნე გლეხობამ თავისი თავდადებული შრომით ღირსეული წვლილი შეიტანა მტრის განადგურების საქმეში.

ომის წლებში თვითეულ რესპუბლიკაში გაიზარდნენ მინდვრებისა და ფერმების საკუთარი განთქმული ოსტატები. საბჭოთა ხალხების მეხსიერებამ შემოინახა ზურგის ამ ნამდვილი გმირების — ალტაელი მექანიზატორის სიმონ პიატნიცას, ციმბირელი მეკრტოფილის ანა იუტკინას, რიაზანელი ტრაქტორისტის დარია გარმაშის, ვოლოგდელი მეღორის ალექსანდრა ლიუსკოვას, უკრაინელი ტრაქტორისტის პრასკოვია ანგელინას, უაზახი მხვნელ-მთესველის ჩაგანაკ ბერსიევის, ყირგიზი მექარხლის სურახან კაინაზაროვას, უზბეკი მებამბის ხამრაკულ ტურსუნკულოვის სახელები.

სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარული, მტრისადმი სიძულვილი, საერთო საზრუნავი და ძალღონის დაძაბვა კიდევ უფრო ანათავაზებდნენ და აახლოებდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხებს. ხალხის მასებში იშვა პატრიოტული მოძრაობა საბჭოთა არმიისათვის სურსათის ფონდების შესაქმნელად, მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა ფულადი სახსრების შეგროვება საბრძოლო ტექნიკის ასაგებად. ომის წლებში თავდაცვის ფონდში მარტო ფულად 16 მილიარდ მანეთზე მეტი შემოვიდა. მშრომელები ეშელონს ეშელონზე გზავნიდნენ მებრძოლებისათვის განკუთვნილი საჩუქრებით. ფრონტი მათგან იღებდა მილიონობით წყვილ ნაბდის ჩექმას, დიდძალ ქურთუკებს, სხვადასხვა შალის და სხვა ნივთებს.

გამარჯვებისადმი ურყევი მისწრაფება, ერთიანობის დიადი გრძნობა ერთ მთლიანობად აერთიანებდა ფრონტსა და ზურგს, მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობასა და ინტელიგენციას, ჩვენი საამშობლოს ყველა ხალხს. ამ ძლავრი მრავალეროვანი ხალხთა ოჯახის სული და გული და წამყვანი ძალა კომუნისტური პარტია [illegible] ლენინური [illegible] ომი [illegible] ლიონ-ისტორიული გამარჯვება გერმანიის ფაშიზმზე.

• • •

ბერმანიის ფაშიზმთან ბრძოლაში გაიარა ცხოვრების მკაცრი გამოცდა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, რომლის განხორციელების მეოხებითაც სსრ კავშირის ყველა ერმა მიიღო ფართო შესაძლებლობა ავითარებდეს თავის ეროვნულ სახელმწიფოებრიობას, ეკონომიკასა და კულტურას. ჩვენი ქვეყნის ხალხები გმირულად იცავდნენ თავიანთ დიდ სოციალისტურ სამშობლოს, რადგან იცოდნენ, რომ ამით იცავენ თავიანთ თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას, თავიანთ ეროვნულ ღირსებას, ეროვნულ კულტურას, დამოუკიდებელი ისტორიული განვითარების თავიანთ უფლებას.

ლენინური პარტიის მიერ გამოკეთილი ხალხთა მეგობრობა, რომელმაც მკაცრ შემოწმებას გაუძლო და დიდი სამამულო ომის წლებში კიდევ უფრო გამოიწრთო, მშვიდობიანი შრომის განვლილ ორ ათეულ წელიწადში კვლავ მტკიცდება და ვითარდება. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა სოციალისტური ერების კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოებას იწვევს. განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებს რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, პარტია მტკიცედ წყვეტს ამოცანას, რომელიც მან თავის პროგრამაში წამოაყენა: **განაგრძოს ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარება, უზრუნველყოს მათი სულ უფრო მჭიდრო ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, შეკავშირება და დაახლოება ცხოვრების ყველა დარგში და მიაღწიოს სსრ კავშირის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრისა და მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია ყველა პირობის შექმნა სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების მიერ შემუშავებული ურყევი ლენინური გენერალური ხაზის წარმატებით განხორციელებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ურთიერთობის განვითარებისთვისაც ხალხთა ინტერნაციონალიზმისა და ძმური შეკავშირების პრინციპებზე. ამ ლენინური პრინციპების ერთგული პარტია შეურეგებელ ბრძოლას ეწევა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ, მუდამ ზრუნავს საბჭოთა ხალხების ერთიანობისა და შეკავშირების, როგორც სოციალიზმის დიადი მონაპოვრის, განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა იყო და კვლავაც არის საბჭოთა სახელმწიფოს ურყევი სიმტკიცის, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების წყარო. ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ეს ძლიერება საიმედო დასაყრდენია სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის საბჭოთა ხალხის, ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხების ბრძოლაში, იმპერიალიზმის აგრესიული მისწრაფებებისა და მოქმედების წინააღმდეგ, დედამიწაზე მტკიცე მშვიდობისა და პროგრესისათვის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლაში.

„პრავდა", 6 მაისი.

გამარჯვების დღის შესახვედრად

უკვდავი სახელი

გადარკალულ წარბებქვეშ მიმინოს თვალები და სახეზე აღბეჭდილი უტეხი ნებისყოფა, საქციელის უცოდველი გულწრფელობა და ადამიანებთან დამოკიდებულებაში ბავშვურად მიამიტური გულთბილობა, ჯანსაღი იუმორით აესავსე ნაპერწკლიანი სიტყვები და ამხანაგის გადასარჩენად თავდადებაზაფყოფნა. ასეთად ახსოვთ მის თანამებრძოლებსა და ხელქვეითებს ეს ლამაზი სულის ადამიანი ალექსანდრე პეხუს-ძე ფურწუმია, მზიური საქართველოს გმირი შვილი და ჰიტლერელ ფაშისტ დამპყრობთა რისხვა, საბჭოთა მოპაკირე ბომბდამშენი თვითმფრინავების ესკადრილიის უფროსი.

დღესაც ალექსანდრე ფურწუმიას სახელობის საავიაციო ქვეგანაყოფის ლენინის ოთახის ერთ კედელს შავი არშიით შემოვლებული წითელი ფარჩის ფონზე მისი სურათი ამშვენებს და ქვემოთ ოქროსფერი სტრიქონი გვაუწყებს:

— უკვდავებაა შენი სახელი, ძვირფასო მეთაურო!

საყოველთაოდ ცნობილია და საავიაციო თავდასხმათა ისტორიაშიც შეტანილია სითამამის გამოჩენისა და გაბედულობის იშვიათი მაგალითი, რომელიც ა. ფურწუმიას მობაკირე ბომბდამშენთა ესკადრილიამ გვიჩვენა 1941 წლის 7 ივლისს პლოეშტის ნავთობსარეწებზე თავდასხმისას.

...იმ დღეს, 1941 წლის 7 ივლისს, ესკადრილიის მეთაური მაიორი ა. ფურწუმია თავის სამეთაურო პუნქტზე გამოიძახა პოლკოვნიკმა ხატაშვილმა.

— თქვენს ესკადრილიას, — დაიწყო პოლკოვნიკმა, — ეკისრება მეტად მძიმე და პასუხსაგები საბრძოლო ამოცანის შესრულება. დაზვერვამ გვაუწყა, რომ დღეს საღამოსთვის მტერი ამზადებს პლოეშტიდან ფრონტის ხაზისაკენ საწვავის დიდი ეშელონის გაგზავნას. გასაგებია, თუ რას ნიშნავს ეს ჩვენთვის, და ამიტომ მტრის ეშელონი არ უნდა გაუშვათ ფრონტამდე. უნდა ავაფეთქოთ მტრის ცისტერნები. ხანძარს უნდა მივცეთ პლოეშტის ნავთობსარეწები. ასეთი ამოცანის შესრულება ეკისრება თქვენს ესკადრილიას...

პოლკოვნიკი ადგა და განაგრძო:

— მხედველობაში მიიღეთ, რომ ბომბდამშენთა ესკადრილიას დამოუკიდებლად მოუხდება გაფრენა, გამანადგურებელი თვითმფრინავები მას ვერ გააყვებიან, რადგან მათ ამის საშუალებას არ აძლევს ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები, იქით და აქეთ არ ეყოფათ საწვავი! გასაგებია ამოცანა?

— სავსებით გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო, მაგრამ... მაფიქრებს ის, რომ მარშრუტი თითქმის სულ მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გადის, მაუწყებლობის სისტემა მტერს კარგად აქვს მოწყობილი, გზადაგზა საზენიტო არტილერიით უხვად აღჭურვილი აეროდრომებია, ამ აეროდრომებზე მტრის გამანადგურებლები არიან...

— სწორედ ამიტომ განდობთ თქვენ და არა სხვა ვისმეს ამ ძნელი ამოცანის შესრულებას, — შეაწყვეტინა მაიორს პოლკოვნიკმა .— თქვენ დიდი საბრძოლო გამოცდილება გაქვთ.

ა. ფურწუმიამ თავის ესკადრილიას მიაშურა. სწრაფად შეიიშვავეს მოქმედების გეგმა.

გადაწყდა: „პეტროიკოვების" ესკადრილია მიზნისაკენ გაფრინდებოდა მცელავი ფრენით, მცირე სიმაღლეზე, რათა გვერდი აევლო ყველა დასასვენელი აგვიანისათვის. ასე იფრენდნენ ბომბდამშენები შტურმანის მიერ მონიშნულ საორიენტირო ზღვდემდე, რათა მტრის მაუწყებლობის სისტემას ვერაფერი შეემჩნია. შემდეგ თვითმფრინავები სიმაღლეზე ავიდოდნენ, ობიექტის თავზე აღმოჩნდებოდნენ, პიკირებით დააცხრებოდნენ პლოეშტის და... ისევ მცელავი ფრენით უკან. ასეთი იყო ფურწუმიას „ფანდი". პოლკოვნიკმა ხატაშვილმა ეს მოიწონა და თანამებამულეს გამარჯვებით დაბრუნება უსურვა.

ქარზე უსწრაფესად ფარავენ მანძილს საბჭოთა ბომბდამშენები. დრო გადის, გზატკეცილებზე მტრის აღაღები ჩანს, როგორც ხელისგულზე. გულს მოფხანდა საბჭოთა მფრინავებს ახლა მათი აწოკება... რა მაცდურია ეს სურვილი... მაგრამ ბრძანების შესრულება სავალდებულოა — „არც ერთი გასროლა!"

— მიგდეთარ უზუსტესად, ამხანაგო ესკადრილიის მეთაურო!

მიმყოლი თვითმფრინავებიდან კი ესკადრილიის უფროსს საგანგაშო სიტყვები ესმის „შლემოფონში". „ნახევარი საწვავი დახარჯულია" ეი უბედურება! ჯერ შიზანზე არ გასულან, სიმაღლეც არ აუღიათ პიკირებისათვის, ნახევარი საწვავი კი შთანთქეს ბომბდამშენთა მოტორებმა. — აპ, ოდიშელო წურწუმიავ, — ფიქრობს ესკადრილიის მეთაური, — თუ გაანგარიშებაში შეცდი, საწვავი არ გეყო შინ დასაბრუნებლად და საბჭოთა ესკადრილია მტრედის გუნდივით დასხი მტრის აეროდროზე, რა კაცი იქნები? — მოღალატეზე უარესი... მაგრამ შტურმანი უკვე მოითხოვს სიმაღლის აღებას.

ფრთებქვეშ პლოეშტი გამოჩნდა. აპა, რკინიგზის სადგურიც მკაფიოდ ჩანს, მტრის საზენიტო ქვემეხთა ყეფის ხმაც ისმის.

ფრთების შტორტმანება ნიშნი იყო პიკზე წასვლისათვის. სატვირთო მატარებლები, ცისტერნათა შემადგენლობანი 'სამიზნეში გადმოინდნენ. ბერკეტის ერთი მოწევა, და მოსწყდნენ თვითმფრინავა ფუგასური ბომბები. ზედ ცისტერნების თავზე წურწუმიას თვითმფრინავი პიკედან გამოვიდა, სადგურს ტყვიამფრქვევის ხოშკაკალა დაეყარა და ისევ მაღლა აიჭრა. ხუთმა დანარჩენმა თვითმფრინავმაც გაიმეორა ასეთივე ეფოლუცია და ხანძარში გაეხვია მთელი სადგური, მთელი პლოეშტის ნავთობსარეწები. ავტომატური ფოტოაპარატები თავის საქმეს — მტრის ბანაკში გამეფებული კომშარის სურათს გულგრილად აღბეჭდავენ.

დაამთავრეს ამოცანის შესრულება ბომბდამშენებმა. ის იყო პიკირების შემდეგ კვლავ სიმაღლეზე უნდა ასულიყვნენ, რომ მათ სვავებივით თავს დაცხრნენ „მესერშმიტები".

— სასწრაფოდ მცელავ ფრენაზე! — გასცა ბრძანება ესკადრილიის უფროსმა და თვითონაც ძირს დაეშვა, რადგან შენიშნა მისი თვითმფრინავისკენ ტყვიასავით წამოსული „მესერშმიტი". ვერ აუღო ჰიტლერელმა მფრინავმა წურწუმიას ოსტატობას აღღო, საბჭოთა ბომბდამშენი თვალსა და ხელს შუა გაექცა, თვითონ კი ისარივით მიწაში ჩაერჭო. მეორე „მესერშმიტი" სხვა ბომბდამშენებმა იმსხვერპლეს...

აეროდრომზე სულგანაბულნი ელოდნენ ესკადრილიის დაბრუნებას. გაანგარიშების მიხედვით თვთმფრინავებს კიდევ ექნებოდათ 2-3 წუთისათვის საფრენად საკმარისი საწვავის მარაგი. მაშასადამე, ახლა ბომბდამშენები ჰორიზონტზე უნდა ჩანდნენ. თვითმფრინავები კი არ ჩანდნენ.. აეროდრომის მთელი მომსახურე პერსონალი მგლოვიარობის სულისკვეთებას მოეცვა... „დაიუბენენ, აფსუს, რა ბიჭები დავკარგეთ"! სხვა დასკვნამდე მისვლა აღარ შეიძლებოდა, რადგან სხვა ყოველივე რომ კიდევაც წესრიგში ყოფილიყო, აშკარა იყო საწვავი არ ეყოფოდათ, იძულებული იქნებოდნენ ძირს დაშვებულიყვნენ... მტრის განლაგებაში.

თვითმფრინავები კი კვლავაც არ ჩანდნენ.

ამ დროს, რადიოტელეგრამა ესკადრილიის შტაბში ამბავი მოიტანა:

— შევარდნენ, შევარდენო, მე კოლხიდა ვარ! მოგვიმზადეთ სტარტი, უმანვეროდ დასაჯდომად, საწვავი ნულს უახლოვდება!

ყველამ შვებით ამოისუნთქა. რამდენიმე წუთში თვითმფრინავები პლანირებით დაეშვნენ მშობლიურ აეროდრომზე. გამეტეველებულმა ფოტოსურათებმა დაადასტურა მტრის ბაზაზე ქეშანი საბჭოთა ბომბდამშენის თავდასხმის საუკეთესო ეფექტი. პლოეშტის ნავთობსარეწები, იქვე რკინიგზის კვანძზე ცისტერნათა ეშელონები, ნავთობის დიდი რეზერვუარები — ყოველივე გამანადგურებელი ხანძრის ალში იყო გახვეული.

— ჩინებულია! — თქვა პოლკოვნიკმა ხატაშვილმა ფოტოსურათების ნახვისას და ესკადრილიის პირად შემადგენლობას მადლობა გამოუცხადა. ჰიტლერელებმა კი ოფიციალურად გამოაქვეყნეს — 7 ივლისს ბორშვიკების 100 ბომბდამშენი დაეცხა პლოეშტისო.

1941 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა სამხედრო ავიაციის სახელოვანი შვვარდენი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. პ. ფურწუმია რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში სარდლობის დავალების შესრულებისას გმირულად დაიღუპა.

ქართველმა მოწამ შობილიური სიყვარულით ჩაიკრა გულში თავის სახელოვანი შვილი.

კ. გრიზლოვი.

• • •

სურათზე: ა. ფურწუმია.

შინამოუსვლელთა უკვდავსაყოფად

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების 20 წლისთავის აღსანიშნავად ღიდი მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს გურჯაანის რაიონში. ბიბლიოთეკებში, კულტურის სახლებში ეწყობა სამამულო ომის ამსახველი ლიტერატურისა და ფოტოდოკუმენტების გამოფენები, შინმოუსვლელთა ფოტოსტენდები. პიონერ-მოსწავლეებმა და კომკავშირელებმა 900-ზე მეტი შინმოუსვლელი მებრძოლის სურათი შეაგროვეს.

კარდანახის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები სამამულო ომში დაღუპული სოფლის 403 მკვიდრის ხსოვნის უკვდავსაყოფად აშენებენ დეკორაციულ ბაღს, სადაც დაირგვება 403 მარადმწვანე და ფოთლოვანი ჯიშის ხეები. თვითეულ ხეს გაუკეთდება ეტიკეტი, რომელზეც დაწერილი იქნება დაღუპული მებრძოლის გვარი და სახელი. აქვე დაიდგმება ობელისკი, მოეწყობა ყვავილნარი.

ვაზისუბნელმა მშრომელებმა სამამულო ომში 600-ზე მეტი კაცი დაკარგეს. მათი ხსოვნის უკვდავყოფისათვის კულტურის სახლის ნაგელ დარბაზში მოაწყეს შინმოუსვლელ მებრძოლთა ფოტოგამოფენა.

ხ. შაკარაშვილი.

იმ ქართველთან ღიად გმირობა

უსახელო მაღლობთან

თმამშვერცხლილმა დედამ უბიდან ამოიღო და მოკრძალებით მოგვაწოდა სამამულო ომის ფრონტზე გადაღებული სურათი შვილისა. მეორე გვერდზე წარწერაა: „სახსოვრად ჩემს დედას და შვილს... ჯერ ჯერობით კავკასიის მისადგომებთან ვებრძვი შემოსეულ ვერაგ მტერს. მალე იქნება დღესასწაული ჩვენს კარიბჭეშიც, კეკლუც ილორშიც..."

ათობით წერილი დვეს დედის სასთუმალთან. მათი უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტიდან არის გამოგზავნილი. ისინი საბჭოთა არმიის მებრძოლის უბრალო გზის, შემართების მემატიანეა.

გაზეთ „კომუნისტის" სტამბის ყოფილმა მბეჭდავმა, კომუნისტმა სერგი ფანცულაიამ სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ასახელა სამშობლოდ და მისი იარაღიც.

ტამანის ნახევარკუნძულზე, ზღვისპირა სოფელში ღამით პატარა უბის წიგნაკში ფანქრით ჩანაწერები გაკაკეთა. სათაურად „გზა ბერლინისაკენ" დაწერა. გადაწყვიტა: ომის დამთავრებისთანავე წიგნს დავწერო.

...1944 წლის იანვრის დღეები სუსხიანი, მშფოთვარე დადგა. ქერჩის მაღლობებზე ღრმა სანგრები ქარბუქმა დაფარა. ღელავდა შავი ზღვა. ვეებერთელა ტალღები ზათქით ეხეთქებოდნენ კლდოვან ნაპირებს...

ლეგენდარული 414-ე ქართული მსროლელი დივიზია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს განაგრძობდა, მტკიცედ ინარჩუნებდა ქერჩის მშობლიური მიწის თვითეულ მტკაველს.

უსახელო მაღლობთან დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ვარლამ ჯანჯღაცა მეომრებთან ერთად თავგანწირვით ებრძოდა გაცოფებულ გერმანელთა ურდოებს.



მარადიული ცვეცხლი

გმირობის ორასორმოცდაათი დღე და ღამე

მტერს კარგად შეენიღება საცეცხლე წერტები. მათ თავზე ყუმბარებით დალეწილი შიშველი ხეები გულშემზარავად სტვენდნენ... ღამით შორს გარკვევით ჩანდა ცეცხლმოკიდებული გემები, ანთებული ტალღები...

ვერ იქნა და ვერ მოხერხდა უსახელო მაღლობიდან გერმანელთა განდევნა, მათი მოსპობა.

კვლავ ქუხდნენ ქვემეხები. მოიერიშე თვითმფრინავები მოსვენებას არ აძლევდნენ მოწინააღმდეგეს.

სასიკვდილოდ დაიჭრა ჩვენი მეტყვიამფრქვევე-ლეიტენანტმა სერგი ფანცულაიამ მას თავისი მაზარა წაეფარა. შურისძიებით აღინთო...

— ცეცხლი, ბიჭებო! — შესძახა, მაგრამ ოცეულიდან მხოლოდ ორი კაცილა იყო დარჩენილი ცოცხალი, ერთი მათგანიც ორი წამის შემდეგ მოკლეს.

გადათხრილი ფერდობი სასაფლაოდ იქცა.

— წინ, მაღლობისაკენ! — დაიძახა ფანცულაიამ და მთელი ძალით ლოდებს შუა ახოხდა, საცეცხლე წერტს ხელყუმბარა სტყორცნა.

— ესეც .თქვენ, ძაღლებო...

მაგრამ ამ დროს მტრის ნასროლმა ტყვიამ მკერდი გაუგმირა.

ვაი, დედა... ამ სიტყვებით დაასრულა სიცოცხლე.

სერგის დარჩა ვაქიშვილი ანზორი. იგი მოსკოვის პოლიგრაფიული მრეწველობის ინსტიტუტის სტუდენტია. ანზორიც ბამის მსგავსად ეუფლება ბეჭდვითი სიტყვის საქმეს, სურს მეტი წიგნი მიაწოდოს მკითხველს.

• • • აკ. გოცირიძე.

სურათზე: ს. ფანცულაია.



არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია... ი ლ ი ა.

ბაკურ სულაკველი



ბაკურ სულაკველი — ეროვნებით ბერძენი, ბერძნული ენა ოჯახურ ენად ჰქონდა, ბერძნული ენა ეს ენა ეროვნული ენა ეროვნული ენა ეროვნული

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

ბ. გარდაფხაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

◆

სამოცდაათი წლის წინათ — 1895 წლის 7 მაისს დიდმა რუსმა მეცნიერმა და გამომგონებელმა ა. ს. პოპოვმა პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკურ-ქიმიური საზოგადოების სხდომაზე საჯარო მოხსენება წაიკითხა და მოახდინა მის მიერ შექმნილი, მსოფლიოში პირველი რადიომიმღების გამოცდა. შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ჩვენი სამშობლო სამართლიანად გახდა რადიოს სამშობლოდ. ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად საბჭოთა მთავრობის მიერ დაწესებულია რადიოს დღე, რომელაც საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრიობა წელს მეოცეჯერ აღნიშნავს. რადიოს დღე ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის ნამდვილი დღესასწაულია და რადიოელექტრონიკის დარგში საბჭოთა მეცნიერების მიერ მოპოვებულ წარმატებათა დათვალიერების დღეა.

რადიოს შემოქმედმა მხოლოდ ორმოცდაექვსი წელი იცოცხლა. მის გენიალურ გამოგონებას მეფის დროინდელ რუსეთში საჭირო ყურადღება არ ექცეოდა. ა. ს. პოპოვის უკვდავ მეცნიერულ აღმოჩენას, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ეპოქას მსოფლიოს ტექნიკისა და მეცნიერების ისტორიაში, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეესახა ფრთები.

ჩვენს ქვეყანაში რადიომაუწყებლობისა და რადიოტექნიკის განვითარება ვ. ი. ლენინის სახელთან არის დაკავშირებული. ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იწინასწარმეტყველა რადიოს უდიდესი როლი და მნიშვნელობა ახალი საზოგადოების მშენებლობაში. საბჭოთა მთავრობის მეთაური ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ა. პოპოვის მოწაფეებისა და მიმდევრების მეცნიერულ კვლევა-ძიებას და ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მათ. ვ. ი. ლენინის მხარდაჭერით აღფრთოვანებულმა მეცნიერებმა მოკლე დროის განმავლობაში ეხნიერი სპეციალისტის მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩის ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაუყარეს რადიომაუწყებლობას.

კომუნისტურმა პარტიამ წარმატებით განახორციელა ვ. ი. ლენინის იდეები „უკაღალდო და უმანძილო გაზეთის“ შესახებ. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ტერიტორია დაიფარა სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რადიო და სატელევიზიო სადგურებისა და ცენტრების ფართო ქსელით. ახლა საბჭოთა კავშირის თითქმის მთელი მოსახლეობა იმყნეს და ნახულობს რადიო და ტელეგადაცემებს. ამჟამად ოთხმოც მილიონზე მეტი რადიომიმღები და რეპროდუქტორი მოქმედებს. ეს იმის მომასწავებელია, რომ რადიოს ყოველდღიურად საშუალოდ ასორმოცდაათ მილიონამდე მსმენელი ჰყავს. ყოველწლიურად ფართოვდება ცენტრალური რადიომაუწყებლობა. ამჟამად მისი საერთო მოცულობა დღეღამეში ასოცდათექვსმეტ საათს შეადგენს და რამდენიმე პროგრამით გადაეცემა... უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი რადიომაუწყებლობაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ დღეღამეში მისი საერთო მოცულობა რვაასორმოცდაათ საათს შეადგენს. საქართველოს რადიოს გადაცემა წარმოებს ორი პროგრამით ოთხ ენაზე ოცდაორი საათის მოცულობით.

თანამედროვე ეპოქაში ორი იდეოლოგიის — ბურჟუაზიული და სოციალისტური იდეოლოგიის ბრძოლამ უმაგალითოდ მწვავე ხასიათი მიიღო. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პროპაგანდისტული არსენალის ერთ-ერთი მთავარი იარაღია რადიო და ტელევიზია.

ამერიკის, ინგლისის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების რადიოსადგურები დღედაღამ ცრუ ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწევიან, ცდილობენ გაამართლონ დასავლეთის სახელმწიფოთა ნეოკოლონიალისტური პოლიტიკა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ისინი ხალხთა ბრძოლას კოლონიზატორების წინააღმდეგ „ძირგამომთხრელ საქმიანობად“ სახავენ. მსოფლიოს უბრალო ადამიანებმა ისწავლეს ეთერში მტრული ხმების გამოცნობა, იციან ამ ხმების ნამდვილი ფასი. ამ მხრივ ყველა ქვეყნის მშრომელებს უდიდეს დახმარებას უწევს ჩვენი რადიომაუწყებლობა, რომელიც 53 უცხო ენაზე ხორციელდება. საბჭოთა რადიოს ხმა ყველა კონტინენტზე გაისმის. მას იცნობენ და ისმენენ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამაზე ნათლად მეტყველებს მრავალრიცხოვანი წერილები, რომელებსაც ყოველწლიურად იღებენ როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკების რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტები. საკმარისია აღინიშნოს, რომ გასული წელს 115 ათასზე მეტი წერილი მოვიდა ასზე მეტი ქვეყნიდან. ისინი აშკარად მიუთითებენ, რომ საბჭოთა რადიოს — სიმართლის, ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის მედროშის — ხმა აღწევს საზღვარგარეთის მილიონ ადამიანთა სულსა და გულს.

საბჭოთა რადიო ყველა კონტინენტის რადიომსმენელებს აცნობს სამართლეს ჩვენი ქვეყნის, მისი შესანიშნავი ადამიანების, მათი გმირული შემოქმედითი შრომის, კოსმოსის ათვისების, სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების დარგში მოპოვებულ გრანდიოზულ მიღწევათა შესახებ. საბჭოთა რადიოგადაცემები მოუთხრობენ იმ მრავალმხრივი და შეუნელებელი ბრძოლის შესახებ, რომელსაც ჩვენი პარტია და მთავრობა ეწევიან იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

სულ უფრო და უფრო იზრდება და ვითარდება რადიოს პარმშო — ტელევიზია. ტელევიზია შევიდა მილიონ ადამიანთა სახლში როგორც კეთილი მრჩეველი და სასურველი მეგობარი. თითქმის ყოველი ოჯახისათვის ტელევიზორი გახდა პირველი მოთათვისებელის საგანი. თოთხმეტი წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ თხუთმეტი ათასი ტელევიზორი ითვლებოდა. ახლა, არასრული მონაცემებით, მარტო საქართველოში 120 ათასზე მეტი ტელევიზორია.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამამ ფაქტიურად საერთო-საკავშირო ხასიათი მიიღო. ამჟამად მას იღებენ ცხრა მოკავშირე რესპუბლიკაში და თითქმის 70 დიდ ქალაქში.

გასული წლის დეკემბრის ბოლოს ჩვენი რესპუბლიკის ცისფერ ეკრანზე პირველად იქნა მიღებული გამოსახულება მოსკოვიდან, ხოლო ორი კვირის შემდეგ — მიმდინარე წლის 14 იანვარს წარმატებით განხორციელდა გადაცემა თბილისიდან მოსკოვში. უკვე რამდენიმე თვეა, რაც მოქმედებს საერთაშორისო საკაბელე ხაზი მოსკოვი-კიევი-ლვოვი-პრაღა-ბერლინი, რომლითაც ერთდროულად შეიძლება გადაეცეს ორი სატელევიზიო პროგრამა. 1964 წლის 5 ნოემბერს განხორციელდა პირველი გადაცემა აღნიშნული ხაზით. სოციალისტურ ქვეყნების გარდა, საერთაშორისო საკაბელე ხაზი შეიძლება ჩართულ იქნან ევროპის სხვა ქვეყნებიც.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენენ რადიო და ტელევაუწყებლობის გაუმჯობესების, მისი ტექნიკური ბაზის გამდგრეობა სოულყოფისა და გაფართოებისათვის. ათასობით კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წარმართება რადიო და ტელეცენტრების ქსელის გაფართოება და აღჭურვა უახლესი სრულყოფილი აპარატურითა და დახადარებით. უახლოეს წლებში მოსახლეობას ტელეგადაცემების ნახვის საშუალება ექნება ყველგან, მთელ საქართველოში, თვით მთაგორიან რაიონებშიც კი. უახლოეს პერიოდში დამთავრდება რადიოსარელეო ხაზის მშენებლობა გალი-ფოთი-ბათუმის უბანზე და აჭარის მშრომელებს შესაძლებლობა ექნებათ ნახონ ტელეგადაცემები თბილისიდან, მოსკოვიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

პრეასასთან ერთად რადიო და ტელევიზია ინფორმაციის, ძოწიაავე გამოცდილეიის პროპაგანდიდა, პოლიტიკეიი და ოეკიციერული ცოდნის გავრცელეიის ყველაზე აასობოვი საშუალეეა გაადა. უკანაასკნელ კერიოდსი საქართველოს კომუნისტური აარტიის ცხტადალეიი კომიტეტისა და მინისტრთა ააბჭოს ყოველდღეიი დახადარებისა და ხელმძღვახელოიის შედეგად ერთგვარად გაუჯობესდა რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიის პროგრამები. ისინი უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახდნეი, გაიზარდა რადიოსა და ტელევიზიის ოპერატიულობა და ორგანიზატოოული როლი, უფრო აჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას, კომუნისტური შრომის პრაქტიკას.

უკანასკნელ წლებში შემოღებულია გადაცემათა ციური საინტერესო ციკლი, რომლეამაც ფართო გამოხმაურება და ოოწონება ჰპოვეს რადიომსმენელებსა და ტელემაყურებლებს შორის. მათ ძორის აღსაინშნავია: „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“, „ჩვენი თანამედროვე“, „შეიდწლეიდის გმირები“, „პროპაგანდა და ცხოვრება“, „მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა“ და სხვა, სადაც შუქდება რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოწინავეთა ცხოვრება და შრომითი საქმიანობა. სტუდიაში და მიკროფონთან სისტემატურად გამოდიან მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, გამორჩეული სპეციალისტები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები.

რადიო და ტელეგადაცემებში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლენუმების გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. შემოღებულია გადაცემათა ციკლი „პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში“. სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდ ინტერესს იწვევს გადაცემათა ციკლი — „მოწინავეა გამოცდილების სკოლა“, რომელიც უკვე მეორე წელია მუშაობს რადიოსა და ტელევიზიის სოფლის მეურნეობის რედაქციებთან.

საკითხის აქტუალობამ, თემის გადაწყვეტის სიახლემ, ბრავალი ფაქტიური მასალის ბოხრებულოდ გამოყენებამ განაპირობა ტელეგადაცემათა ციკლის — „გვიყვარდეს ჩვენი ქალაქის“ წარმატება.

ცნობილია, რომ როგორადაც კარგად არ უნდა იყოს შედგენილი სახალხო მეურნეობის და მეცნიერების განვითარების გეგმები და პროგრამები, ისინი მხოლოდ კეთილ სურვილებად რჩებიან, ვიდრე მათ პრაქტიკულად არ განახორციელებენ ადამიანთა მასები თავიანთი შრომით. მილიონიანი მასების შემოქმედებითი შრომა ეს ის დიადი ძალაა, რომელიც საძირკველს უყრის და აგებს კომუნიზმის დიად შენობას. შრომაში ვლინდება ადამიანთა ნიჭი და ტალანტი, ადამიანის გენია, შრომაშია კაცობრიობის უკვდავება.

შრომისადმი სიყვარულისა და პატივისცემის აღზრდა რადიოსა და ტელევიზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. შემოღებულია გადაცემათა ციკლი — „ადამიანი, ვისი მაგალითიც მიაბაძია“. როგორც რადიოთი, ისე ტელევიზიით სისტემატურად გადაიცემა საუბრები, ჩანახატები და ნარკვევები ფარმოების მოწინავე ადამიანებზე.

დიდი სამამულო ომის დამთავრების ოცი წლისთავთან დაკავშირებით მომზადდა მრავალი საინტერესო რადიო და ტელეგადაცემა. სტუდიაში და მიკროფონთან გამოვიდნენ სამამულო ომის გმირები, საბჭოთა არმიის მრავალი გამოჩენილი გენერალი და რიგითი მებრძოლები.

რადიოსა და ტელევიზიის პროგრამებში საკმაო ყურადღება ექცევა საბუნებისმეტყველო ციოლისა და მეცნიერების მიღწევათა გაშუქებას. გადაცემათა მუდმივი ციკლები — „მეცნიერების სამყაროში“, „მეცნიერება წარმოებაში“, ტელელექტორიუმი „ცოდნის კარი“, სატელევიზიო ჟურნალი „ჯანმრთელობა“ და სხვა მრავალი ეხმარებიან მსმენელებსა და მაყურებლებს გაეცნონ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მოპოვებულ წარმატებებსა და მათს უდიდეს მნიშვნელობას.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს ახალგაზრდა თაობის კომუნისტურ აღზრდას. საქართველოს რადიო და ტელევიზია ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ ფრიად სპატიო ამოცანის წარმატებით განხორციელების საქმეში. შემოღებულია რამდენიმე საინტერესო ციკლი, მოზზადდა ბევრი კარგი და დასამახსოვრებელი გადაცემები. აღსანიშნავია გადაცემათა ციკლები — „ისინი იბრძოდნენ ჩვენი ბედნიერებისათვის“, „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“, „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“, „მზე შინა და მზე გარეთა“ და სხვა. ექვსი თვეა, რაც მუშაობა დაიწყო რადიოსადგურმა „ციცინათელამ“. ეს ჩვენი ყველაზე პატარა მსმენელების რადიოსადგურია და, ბუნებრივია, ჩვენს გადაცემებში საკმაოდ დიდი დრო ეთმობა ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას. ამ მიზანს ემსახურება „მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ტელელექტორიუმი“, გადაცემები „ეროვნის საღამოები“, შეხვედრები ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებთან. ნორჩ ტელემაყურებელთა მოწონებას იმსახურებს ჟურნალები „ჯეჯილი“ და „მერცხალი“.

ადამიანის აღზრდაში უდიდესია ლიტერატურისა და ხელოვნების როლი, რომლებიც ცხოვრების არა მარტო შეცნობის საშუალებაა, არამედ ამავე დროს მისი გარდაქმნის ფაქტორიც.

რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში დიდი ადგილი უჭირავს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მრავალეროვანი სოციალისტური ხელოვნების, მუსიკალური კულტურის პროპაგანდას. ამაზე მეტყველებენ გადაცემათა ციკლები „თეატრი და თანამედროვეობა“, „წმენლის ტრიბუნა“, „ლიტერატურული სადამეები“, „დიდი ქალაქების მუსიკალური ცხოვრება“, „შრომისა და სიმღერის ადამიანები“ და მრავალი სხვა გადაცემა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსმენელებისა და მაყურებლების მუსიკალური კულტურის ამაღლებისა და მათი სულიერი ცხოვრების გამდიდრების საქმეში.

უკვე რამდენიმე თვეა, რაც ჩვენი რადიომსმენელები სისტემატურად ისმენენ გადაცემათა ახალ, მეორე პროგრამას, რომელიც საგრძნობლად გაანსხვავდება წინა პროგრამისაგან. მუსიკალურ-ლიტერატურულ გადაცემებთან ერთად ამ სადაურთან ისმენენ უკანასკნელი ცნობების ოპერატიულ გამოშვებებს, მოკლე საუბრებს საინტერესო მოვლენებზე, ჩვენი ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

როგორც აღვნიშნეთ რადიო და ტელევიზია მძლავრი ძალაა ხალხის კომუნისტურ აღზრდაში, მასობრივ პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობაში. მაგრამ მაინ უდიდეს შესაძლებლობებს ყოველთვის ჯრულად ოდი ვიყენებთ. ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. რიგ გადაცემათა იდეურ-მხატვრული დონე დაბალია და ბუნებრივია ვერ აკმაყოფილებს რადიომსმენელთა და ტელემაყურებელთა გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებებს.

რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა მთელი ბოლშევიკური მგზნებარებით ეწეოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, პარტიის ისტორიული გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, არსებითად ამაღლონ გადაცემათა იდეურ-პოლიტიკური დონე, მიაღწიონ იმას, რომ გადაცემები იყოს უფრო დამაჯერებელი, კონკრეტული და ხატოვანი.

რესპუბლიკის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიები, რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული მის წინაშე მდგომი ამოცანები, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობითა და დახმარებით ყოველ ღონეს იხმარს, რომ რადიო და ტელეგადაცემები რესპუბლიკაში წარმოებდეს მაღალ იდეურ და მხატვრულ დონეზე.



ამერიკელმა ინტერვენტებმა კიდევ ერთი ბინძური ომი გაიჩაღეს. ისინი შეიჭრნენ დომინიკოს რესპუბლიკაში, რომლის ხალხი დამოუკიდებლობისათვისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად აღდგა. „ჯიპები“, რომლებიც საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები სხედან, ღიმილით მიჰქრიან დომინიკოს დედაქალაქის ქუჩაში, სადაც სახლები ჩამკვდარია, ხოლო პლაკატზე წარწერაა: „იანკებო შინ წაეთრიეთ!“

ტელეფოტო აპ-ისა.

ვაშინგტონის ქალმომრეოგბ

ნიუ-იორკი, 6 მაისი. საკადესის კორესპონდენტი **ლ. ველიჩანსკი** იტყობინება:

მეთორმეტე დღეა გრძელდება დომინიკოს რესპუბლიკის ტრაგედია. ამერიკის გაზეთები ისევე უტიფრად აგრძელებენ ტყუილებს სახტო-დომინიკოს ამბების შესახებ. როგორც ვიეტნამის ამბების შესახებ. ტყუილებს ავრცელებენ სატელევიზიო კომპანიებიც, მაგრამ მათ უფრო უხელდებათ ეს.

„ამერიკელი ჯარისკაცები მშვიდობიანად ესაუბრებიან დომინიკოს დედაქალაქის მოსახლეობას“, — რიხიანად აცხადებს ტელევიზიის რეპორტიორი. და ტელევიზორის ეკრანზე თქვენ ხათლად ხედავთ ამერიკელ მეავტომატეს, რომელიც რაღაცას ეუბნება ქალებისა და ბავშვების ჯგუფს. მაგრამ თქვენ სხვა რამესაც ხედავთ: არავინ ამ ჯგუფში პასუხს არ ამლევს ჯარისკაცს. თქვენ ხედავთ სიფულეილითა და ზიზღით აღსავსე მრისხანე სახეებს, ჯგუფის უკან ხედავთ ნახევრად დანგრეულ კედელს, რომელზეც უზარმაზარი ასოებით წარწერილია: „იანკი, გოუ ჰოუმ“.

ტელეკრონიკის სხვა კადრზე მოჩანს, როგორ ჩხრეკენ საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები ღარიბულად ჩაცმულ ჯიბუკებს, შემდეგ სვამენ სატვირთო მანქანაში და სადღაც მიპყავთ. ამ მანქანისაკენ მოდიან ჯარისკაცებით დატვირთული ავტომანქანა-ტრანსპორტიორები და ტანკები.

ასეთ ტყუილებს ავრცელებენ, ნამდვილი ფაქტები კი მოწმობენ, რომ ამერიკის ჯარები იმზადებიან სასტიკად გაუსწორდნენ კონსტიტუციის აღდგენის მომხრეებს. მათ ალყა შემოარტყეს დედაქალაქის იმ ნაწილს, სადაც თავმოყრილი არიან აჯანყებულთა ძირითადი ძალები.

მაგრამ სანამ დაიწყებდეს სისხლისღვრას სანტო-დომინგოში, ვაშინგტონი ცდილობს მიაღებინოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს საქმე ისე დახატოს, თითქოს ეს ახალი დანაშაული დასავლეთ ნახევარსფეროს სახელმწიფოთა „ერთობლივი ოპერაცია“ იყოს. ვაშინგტონი მოითხოვს, რომ ცენტრალური ამერიკის „ბანანის რესპუბლიკებმა“, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებზე არიან [illegible] ტონი-დომინგოში გაგზავნონ თავიანთი ჯარები. „[illegible] — [illegible] თუნდაც [illegible] — [illegible] გტონი აცხადებს, რომ ლათინური ამერიკის ჯარისკაცები არ იბრძოლებენ თავიანთი ძმების — დომინგოელების წინააღმდეგ. სისხლისღვრას მოახდენენ ამერიკელი აკიამელესანტები და საზღვაო ქვეითი ჯარი. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს მარტოოდენ ამ ოპერაციის ლეგალიზაცია და გაინაწილოს პასუხისმგებლობა ამისათვის.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭოს საკონსულტაციო თათბირზე შეერთებულმა შტატებმა უკვე შეიტახეს შესაბამისი რეზოლუცია. მაგრამ იგი წააწყდა მექსიკის, ურუგვაის, ვენესუელისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დიდ წინააღმდეგობას, რომლებმაც გაიელაშქრეს ამერიკის ინტერვენციის წინააღმდეგ. ამ სახელმწიფოებმა შემოაყენეს თავიანთი რეზოლუციათა პროექტები, რომლებშიც მოითხოვენ ამერიკამ გაიყვანოს ჯარები დომინიკოს რესპუბლიკიდან. საკონსულტაციო საბჭოს გუშინდელ სხდომას შედეგი არ მოჰყოლია.

ამავე დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში, სადაც მესამე დღეა განიხილავენ დომინიკოს რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის საკითხს, ამერიკის ჯარების გაყვანა მოითხოვეს არა მარტო სსრ კავშირისა და კუბის წარმომადგენლებმა, არამედ ავრეთვე საფრანგეთმა და ურუგვაიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეოგა დომინგოს რესპუგლიკაში

ნიუ-იორკი, 5 მაისი. (საკდესი). თერთმეტი დღეა გრძელდება დომინგოელი ხალხის ბრძოლა დომინგოს რესპუბლიკაში კონსტატუციური წყობილების აღდგენისათვის.

რესპუბლიკის დედაქალაქ სანტო-დომინგოში ცხოვრება ჩაკვდა. არ ჰყოფნით წყალი და სურსათი. მუშაობა შეწყვიტეს კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებმა. როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები აწყობენ, ქალაქი გაყოფილია ორ სამხედრო ბანაკად, რომლებსაც ერთმანეთისაგან განაცალკევებს ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ბარიკადები და მავთულხლართები. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითმა ჯარმა ხელთ იგდო ქალაქის მდიდარი კვარტალები. აჯანყებულთა ხელშია დედაქალაქის მჭიდროდ დასახლებული საქმიანი ნაწილი. აჯანყებულთა დასახმარებლად მოდიან სანტო-დომინგოს გარეუბნების მცხოვრებლები.

ნიუ-იორკი, 5 მაისი. (საკდესი). დომინგოს რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ და რეაქციულმა სამხედრო ხუნტამ, რომელიც მას ებრძვის, დღეს ხელი მოაწერეს შეთანხმებას დაზავების შესახებ. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, ეს განაცხადეს ამერიკის სახელმწიფო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც სანტო-დომინგოში იმყოფებიან. შეთანხმებით გათვალისწინებულია ცეცხლის შეწყვეტა, ორივე დაჯგუფებისათვის დახმარების გაწევა სურსათითა და მედიკამენტებით, იმ პირთა ევაკუაცია, რომლებმაც უცხო სახელმწიფოთა საელჩოს შეაფარეს თავი, და ამერიკელი ჯარისკაცების მიერ დაკავებული ზონის გაფართოება.



კინო უცხოეთში

ფედერიკო ფელინის ფილმი-გიგანტი

ამას წინათ მადრიდელმა მხატვარმა-სიურეალისტმა სალვადორ დალიმ პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ ფედერიკო ფელინის განზრახული აქვს დადგას ფილმი მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. როდესაც ეს იტალიელმა კინორეჟისორმა გაიგო, გამაკვირვა, რომ არ იცობს დალის, არასოდეს არ უნახავს იგი და, საერთოდ, დალის ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში მისთვის, არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს. ალბათ დალიმ ასეთი ხმები თვითრეკლამისათვის დაარხია. ფელინიმ კი თავისი გეგმები გაუზიარა გაზეთ „პაეზე-სერას“ კინოკრიტიკოსს დარიო არჯენტოს.

მას შემდეგ, რაც დამთავრდება ფილმის — „ჯულიეტა სულების ტყეეობაში“ — გადაღება (მთავარ როლში გამოდის ჯულიეტა მაზინა), ფელინის სურს მაშინვე დაიწყოს მუშაობა ფილმ-გიგანტზე, „რომელიც იქნება ეპიკური კინომოთხრობა შუა საუკუნეების ეპოქაზე.

თვდაპირველად რეჟისორს მიზნად ჰქონდა მოეთხრო დაქირავებულ იტალიელ ჯარისკაცზე, იმ ბრძოლებზე, რომლებშიც იგი მონაწილეობს, ჯარისკაცის მანკიერ მხარეებზე, იმაზე თუ როგორ სთავაზობდა იგი თავის დაშნას იმას, ვინც მეტ ფულს მისცემდა. მაგრამ შემდეგ რეჟისორმა ჩანფიქრი შეცვალა და ყურადღება მიაპყრო შუა საუკუნეების ეპოქიდან აღორძინების ხანაზე გადასვლას — ჩაგვრის, ეკლესიისა და რელიგიის ბატონობიდან ჰუმანიზმისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯებს.

ჩანფიქრმა თანდათან კონკრეტული სიუჟეტის ფორმა მიიღო, რომლის მიხედვითაც უკვე იწერება სცენარი.

ფილმი იქნება სათავგადასავლო, მრავალი მონაწილითა და მასობრივი სცენებით.

— ეს ფილმი, — ამბობს ფელინი, — მოგვითხრობს პოეტებზე, რომლებიც დაისაჯნენ იმისათვის, რომ სიყვარულს უმღერიდნენ, ეროტიკოს ბერებზე, რომლებსაც კოცონზე სწვავდნენ. ფილმში ნაჩვენები იქნება ხალხის ადათ-ჩვეულები შუა საუკუნეების მიწურულში, მეცნიერებისა და ხელოვნების საწყისები, ახალი ჩვეულებისა და ადათების დაბადება — ერთი სიტყვით, ძველი ეპოქიდან ახალ ეპოქაში გადასვლა.

— ეს არის ფელინის პირველი ისტორიული ფილმი, — წერს არჯენტო, — მაგრამ თავისი სულით იგი მოგვაგონებს მის ფილმს „ტკბილ ცხოვრებას“ — დიდ ტილოს, რომელიც გვიხატავს ბურჟუაზიული საზოგადოების დაშლასა და გახრწნას.

ფილმში მთავარ როლებს შეასრულებენ ჯულიეტა მაზინა და მარჩელო მასტროიანი.

გულწრფელი აღიარება

ბონი, 5 მაისი. (საკდესი). ერაყის საელჩოს ბონის სამხედრო ატაშემ პოლკოვნიკმა ა. გაფურმა სამშაბათს, 4 მაისს პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ ერაყის არმია ამჟამად ახორციელებს ფართო შეტევას ქურთების წინააღმდეგ ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში. როგორც დპა-ს საგენტო იუწყება, პოლკოვნიკმა გაფურმა განაცხადა, რომ „ქურთების ბელადმა მუსტაფა ბარზანიმ დაკარგა უკანასკნელი შესაძლებლობა“ უარი ეთქვა თავის „სეპარატისტულ განზრახვებზე“. ერაყის სამხედრო ატაშეს სიტყვით ბაღდადის მთავრობას თითქოს მიეცეს მისთვის ერთი წლის ვადა 1964 წლის თებერვალში ცეცხლის შეწყვეტია შესახებ შეთანხმების დადების მომენტიდან იმისათვის, რომ ქურთებმა დაყარონ იარაღი.

პოლკოვნიკ გაფურის განცხადებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ ჟურნალისტთა წრეებში, რადგან დღემდე ერაყის მთავრობა გადაჭრით უარყოფდა ცნობებს, რომ განახლდა საომარი ოპერაციები ჩრდილოეთ ერაყში.

დასავლეთ გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილება

ბონი, 5 მაისი. (საკდესი). დღეს ფედერალურმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მოიწონოს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ისრაელს შორის. ამას იუწყება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი.

პატრიოტის პატივსაცემად

რომი, 5 მაისი. (საკდესი). დღეს დემოკრატიულმა იტალიამ აღნიშნა ალჩიდე ჩერვის დაბადების 90 წლისთავი. ალჩიდე ჩერვი უბრალო იტალიელი გლეხია, რომელიც მამაცურად განაგრძობდა ბრძოლას პიტლერულ ოკუპანტთა წინააღმდეგ იმის შემდეგაც, რაც ფაშისტმა ჯალათებმა მას და მის მეუღლეს თვალწინ დაუხვრიტეს შვილი შვილი—პარტიზანები.

„ძვირფასო ამხანაგო ალჩიდე ჩერვი, შენი დაბადების 90 წლისთავზე სულით და გულით და ძმურად გისურვებ ყოველივე საუკეთესოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და პირადად ჩემი სახელით, — ნათქვამია იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლუიჯი ლონგოს მისასალმებელ წერილში. — შენი სახელი გახდა სიმბოლო ყველა ანტიფაშისტისათვის იტალიასა და მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის, რომელთაც მიაჩნიათ, რომ შენი შვიდი შვილის გმირული დაღუპვა ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და ყველაზე დიადი მომენტია იტალიის ისტორიაში, თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული აღორძინებისათვის მისი ბრძოლის ისტორიაში“.

ალჩიდე ჩერვის მისასალმებელი წერილები გაუგზავნეს აგრეთვე უმბერტო ტერაჩინიმ სენატის კომუნისტთა ჯგუფის სახელით, იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ ბუჩარელი-დუჩიმ, იტალიის ბევრმა სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციამ და გაერთიანებამ.

ვაშინგტონი, 6 მაისი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ჯონსონმა თეთრ სახლში მიიღო ამერიკის ყოფილი ელჩი სამხრეთ ვიეტნამში ჰენრი კებოტ ლოჯი, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა აზიის ქვეყნებიდან, სადაც პრეზიდენტის დავალებით მოგზაურობდა. ლოჯი ეწვია ახალ ზელანდიას, ავსტრალიას, ფილიპინებს, ტაილანდს, იაპონიას, სამხრეთ კორეას, ჰონკონგს, სამხრეთ ვიეტნამსა და ინდოეთს.

ყოფილი ელჩი ამტკიცებს...

კებოტ ლოჯის მოხსენება

ამ შეხვედრის შემდეგ ჯონსონმა განაცხადა, ლოჯმა მომახსენა თავისი მოგზაურობის შედეგები, მაცნობა, როგორ გამოეხმაურნენ ეს ქვეყნები ამერიკის მოქმედებას სამხრეთ ვიეტნამშიო. განსაკუთრებული ყურადღება, თქვა ჯონსონმა, ლოჯმა თავის მოხსენებაში დაუთმო ვიზიტს საიგონში, სამხრეთვიეტნამელ ლიდერებთან მოლაპარაკებას დამატებით ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიძლება განახორციელონ ვიეტნამში.

შეხვედრის შემდეგ ლოჯმა კორესპონდენტებს აცნობა, პრეზიდენტ ჯონსონს ჩამოუტანე წერილები მთელ რიგ სახელმწიფოთა მეთაურებისაგან, სადაც ვიყავიო. მოგზაურობის დროს, განაცხადა ლოჯმა, აზიის ქვეყნების მთავრობათა მეთაურებს განვუმარტე ამერიკის მიზნები, მოვისმინე მათ

რუსული მუსიკის გენია



პ. ი. ჩაიკოვსკის -დაბადების 125 წლისთავის გამო

◆

ბულის მთელი ძალით ვისურვებდი, რომ ჩემი მუსიკა ვრცელდებოდეს, იზრდებოდეს რაოდენობა ადამიანებისა, რომელნიც შეიყვარებენ მას, ჰპოვებენ მასში ნუგეშსა და დასაყრდენსო...

დიდი რუსი კომპოზიტორის პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკის ეს სიტყვები მარცლაც რომ წინასწარმეტყველური გამოდგა. მისი მგზნებარე გულის სიღრმიდან აღმოხდენილი, აზრტევადი მუსიკა ღირსეულად იქნა დაფასებული კომპოზიტორის თანამედროვეთა მიერ. ლ. ტოლსტოი, ტურგენევი, ა. ოსტროვსკი, ჩეხოვი, რეპინი, ვ. სტასოვი და მრავალი სხვა გამოჩენილი ადამიანი გასული საუკუნის რუსეთისა უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ გენიალურ თანამემამულეს, რომელმაც შშობლიური მუსიკას მსოფლიო სახელი მოუხვეჭა.

მხოლოდ ჯანსაღ ეროვნულ ტრადიციებზე აღმოცენებულ, მოწინავე იდეებითა და ხალასი ემოციურობით მდიდარ ხელოვნების ნაწარმოებებს აქვთ უნარი გაუძლონ ჟამთა ვითარებას, შეინარჩუნონ მხატვრული ღირსება და მზარდი ძალით იმოქმედონ ადამიანთა შეგნებაზე, მათ სულიერ სამყაროზე. ასეთია ჩაიკოვსკის ოპერები („პიკის ქალი", „ევგენი ონეგინი" და სხვ.), სიმფონიები, სიმფონიური პოემები, ბალეტები („გედის ტბა", „მძინარე მზეთუნახავი" და „შჩელკუნჩიკი"), რომანსები, ინსტრუმენტული კონცერტები, ცალფა და ანსამბლო პიესები, რომლებსაც მთელ მსოფლიოში კარგად იცნობენ და გატაცებით უსმენენ არა მარტო პროფესიონალები, არამედ მილიონობით არამუსიკოსებიც.

მიზეზი ჩაიკოვსკის მუსიკის უსაზღვრო პოპულარობისა მრავალია. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მისი არაჩვეულებრივი ნიჭი მელოდიისტისა. ნათელი, ადვილშესაგრძნობი, სულმტკბარულად გამოკვეთილი მელოდიურობით გაჯერებულია ყოველი მისი ნაწარმოები, ოპერა იქნება ეს, რომანსი, სიმფონია, კვარტეტი თუ სხვა რამ. და ეს მელოდიები, ისე როგორც მათგან შექმნილი მძლავრი მუსიკალური ნაკადები, აშკარად მოწმობენ მათს მჭიდრო კავშირს რუსულ ხალხურ (გლეხურ და ქალაქურ) მუსიკალურ წყაროებთან, რუს კლასიკოსთა (გლინკა, დარგომიჟსკი) შემოქმედებითს ტრადიციებთან. ამასთან ჩაიკოვსკის ღრმად ჰქონდა ათვისებული დასავლეთ ევროპის დიდ ოსტატთა საკომპოზიციო ხერხები. ყოველივე ამან განაპირობა მასში ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ერთობლიობა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ეროვნულობის გარეშე არ შეიძლება შეიქმნას მხატვრული ნაწარმოებები, თანაბრად მიმზიდველნი და ფასდაუდებელნი შინაურისა და გარეშეხათვის.

ჩაიკოვსკი თავისი მხატვრული მემკვიდრეობით გვევლინება დიდ მოკალაქედ და მგზნებარე პატრიოტად. 60-იან წლებში, როდესაც მან შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო, რუსულ საზოგადოებრივ აზრს, რევოლუციური დემოკრატების იდეების ზეგავლენით, საგრძნობი გამოცოცხლება დაეტყო. იმდროინდელ რუსულ ხელოვნებაში ფართოდ გაშალა ბრძოლა ხალხურობისა, ეროვნულობისა და რეალიზმისათვის. ჩაიკოვსკიც დიდ თანამებრძოლებთან ერთად იღწვის, რათა გულწრფელად, რეალისტურად ასახოს ის, რაც აფიქრებს და აღელვებს მის თანამედროვეობას. „მე ყოველთვის ვცდილობდი ამერჩია სიუჟეტები, რომლებშიც მოქმედებენ ნამდვილი, ცოცხალი ადამიანები და განიცდიან ისე, როგორც მე", — წერდა ჩაიკოვსკი. მსგავსად ლ. ტოლსტოისა, ტურგენევისა და ჩეხოვისა, იგი გვევლინება რეალისტ-ფსიქოლოგად, გულთამხილავად, რომელიც უდიდესი მხატვრული დამჯერებლობით გადაგვიშლის ადამიანის მდიდარ შინაგან სამყაროს თავისი სიხარულითა და სევდით, აღტაცებულობითა და ნათელი მომავლისადმი სწრაფვით.

70-იანი წლების დამლევისათვის საგრძნობლად შეიცვალა რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა. შავბნელი რეაქციული ძალები შეტევაზე გადავიდნენ, სასტიკად იდევნებოდა პროგრესულის, გამბედულის ყოველი გამოვლინება. ეს იგრძნო ჩაიკოვსკიმაც, რაც ჩანს მისი წერილიდან ნადეჟდა ფონ მეკისადმი (1878 წ.). ....„ჩვენ განვიცდით საშინელ დროს, — და როდესაც ვუფიქრდები იმას, რაც ხდება, შიში მიპყრობს"... მაგრამ კომპოზიტორი როდი ურიგდება არსებულ პირობებს. მთელი თავისი კეთილშობილური ბუნებით იგი ეძებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. განსაცვიფრებელი ძალით გვიხატავს ჩაიკოვსკი მგრძნობიარე ადამიანის მძლავრ შეშფოთებას, ტრაგიკულ პათოსამდე აწვირთებულ ხელიერ ტანჯვას. ამასთან— დაუცხრომელი მისწრაფება სიკეთისაკენ, ბედნიერებისაკენ, ხალხთა ნათელი მომავლისაკენ! ყოველივე ეს, გენიალური მუსიკით გამოხატული, მართებულად აღიქმებოდა თანამედროვეების მიერ როგორც ხმა მძლავრი, გაბედული პროტესტისა სულისშემხუთველი სინამდვილის წინააღმდეგ. ცხოვრებაში სწორედ ასეთმა ღრმა ჩახედვამ მიიყვანა ჩაიკოვსკი კომპოზიტორ-რეალისტის, „მუსიკოს-დრამატურგის მაღალ მწვერვალამდე: ბუნებით ლირიკოსი, ფაქიზი პოეტური ბუნების მქონე ხელოვანი ასეთ მომენტებში იქცევა უდიდეს სიმფონისტად, რომელიც თავის მსოფლშეგრძნებას უკიდურესად დინამიკური მუსიკალური სახეებით, ემოციურად დაძაბული მუსიკალური ნაკადის მეშვეობით გადმოგვცემს.

ჩაიკოვსკის—რუსული მუსიკის ამ გენიას — მთელი თავისი არსებით უყვარდა რუსეთი, რუსი ხალხი, მისი ნიჭი, თვითმყოფი მატერიალური და სულიერი კულტურა. „მე მიუყვარს მოგზაურობა საზღვარგარეთ დასვენების სახით; ეს უდიდესი სიამოვნებაა. მაგრამ ცხოვრება შეიძლება მხოლოდ რუსეთში," — განაცხადა ერთხელ კომპოზიტორმა. მართლაც თავისი მზნებერა პატრიოტიზმი მან ჩანებულად გამოავლინა როგორც საერთოდ მთელ თავის შემოქმედებაში, ისე. კერძოდ — რუსული ბუნების, რუსი ხალხის ყოფაცხოვრების სურათებში, რუს ადამიანთა მხატვრულად და ფსიქოლოგიურად დასრულებულ პორტრეტებში. მაგრამ როგორც ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი პიროვნება, იგი როდი იყო ნაციონალიზმით, ველიკორუსული შოვინიზმით გონებაშეზღუდული და გაყოყოჩებული ხელოვანი. თავის დიდ, მგზნებარე გულში ჩაიკოვსკი ადგილს უთმობდა სხვა ქვეყნების, სხვა ერების მიმართ გულწრფელ სიყვარულსაც. გერმანული, იტალიური, ფრანგული, ავსტრიული, ჩეხური და სხვა ეროვნებათა კულტურისადმი ღრმა პატივისცემაზე რომ არაფერი ვთქვათ, საკმარისია მოვიგონოთ ჩაიკოვსკის სიყვარული საქართველოსადმი, თბილისისადმი.

1885-90 წლებში ჩაიკოვსკი ხუთჯერ ესტუმრა საქართველოს. ბორჯომის ხეობა მას მიაჩნდა მსოფლიოში ყველაზე ულამაზეს კუთხედ. „ძნელი გამოსათქმელია ის, თუ მთელი ჩემი სულით როგორ მივესწრაფვი თბილისისაკენ. მე თვითონ მომაჩნია უცნაურად ის, თუ რას ემყარება ჩემი სრულიად განსაკუთრებული სიმპათია ამ ქალაქისადმი"—სწერდა იგი მ. იპოლიტოვ-ივანოვს. ქართველი საზოგადოებრიობაც ღირსეულად აფასებდა ჩაიკოვსკის ნიჭსა და ადამიანობას. „თბილისი იყო რუსეთის პირველი ქალაქი, რომელშიც პ(ეტრე) ი(ლიას-ძეს) შეხვდნენ ზეიმითა და გულწრფელი ენთუზიაზმით",—აღნიშნავდა მოგვიანებ ჩაიკოვსკი თავისი გამოჩენილი ძმის სამტომიან ბიოგრაფიაში.

პ. ი. ჩაიკოვსკის ცხოვრება—ეს არის განუწყვეტელი შრომის პროცესი. მხოლოდ სისტემატური, თავდადებული და განუწყვეტელი შრომით მიაღწია მან ხელოვნების მაღალ მწვერვალებს. „მუშაობა საჭიროა ყოველთვის. ნამდვილი. პატიოსანი ხელოვანი არ შეიძლება გულხელდაკრეფილი იჯდეს იმის გამო, რომ განწყობილი არ არის სამუშაოდ... შთაგონება სტუმარია, რომელსაც არ უყვარს მისვლა ზარმაცებთან!.. „ჩაიკოვსკის ეს სიტყვები შესანიშნავად ახასიათებს მას როგორც ნამდვილ ოსტატს და ერის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის მქონე ხელოვანს. კომპოზიტორის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საზრუნავი იყო მის ნაწარმოებთა მისაწვდომობა ფართო მასებისათვის. ამას იგი აღწევდა არა შემოქმედებითი პროცესის გაუბრალოებით ან მსმენელთა დაბალ მხატვრულ დონემდე დახვლით, არამედ პირიქით, საკომპოზიციო ოსტატობის მაქსიმალური განვითარებით, რათა ამით შეძლებოდა შინაარსით და ფორმით ნათელი, მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოების შექმნა.

ამ მხრივ ჩაიკოვსკის მაგალითი მართლაც მისაბაძია. ცნობილი საბჭოთა მწერალი ა. ფადეევი ერთ-ერთ თავის წერილში მართებულად აღნიშნავდა: „შექსპირი და რემბრანდტი, რუსთაველი და პუშკინი, გოეთე და ტოლსტოი, ბეთჰოვენი და ჩაიკოვსკი, შევჩენკო და ჩეხოვი დიდი ხანია საბჭოთა ხალხის საკუთრებად იქცნენ... ჩვენი და მომავალი თაობა ყოველთვის ისწავლის ამ დიდი ადამიანებისაგან".

ჩაიკოვსკის დაბადების 125 წლისთავს აღნიშნავს მთელი პროგრესული კაცობრობა. განსაკუთრებით ძვირფასია ამ გენიალური ხელოვანის სახელი ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, რომელნიც უკვდავ ქმნილებათა ავტორში ხედავენ მშობლიური ხალხის მესაიდუმლეს, გულწრფელ ხელოვანს, ჭეშმარიტ ჰუმანისტს და რეალისტური მიმართულების მუმბერაზ წარმომადგენელს.

შ. დე ბუფლეს მიერ ვოლტერისადმი მიმართული სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩაიკოვსკი „მეტისმეტად დიდია თავისი ქვეყნის ფარგლებში მოსათავსებლად. იგი ბუნების მიერ მთელი მსოფლიოსადმი მიძღვნილი საჩუქარია!.."

პავლე ხუჰუა.

* * *

სურათებზე: ზევით — პ. ი. ჩაიკოვსკი; ქვევით — პ. ი. ჩაიკოვსკი მიღებაზე, რომელიც თბილისის არტისტული საზოგადოების სასატიო წევრად მისი არჩევის გამო გამართული საზეიმო მუსიკალური დილის შემდეგ მოეწყო 1888 წლის 30 აპრილს. (ფოტო).

„შოთა რუსთაველის" მეოთხე რეისი

ამ დღეებში დიდი გამოცოცხლება იყო ფოთის ნავსადგურში. ფოთელები აქ მოვიდნენ ტრაულერ „შოთა რუსთაველის" ეკიპაჟის გასაცილებლად. ეს ტრაულერის მეოთხე რეისია ინდოეთისა და ატლანტიკის ოკეანეებში.

„შოთა რუსთაველს" მეთაურობენ გამოცდილი მეზღვაურები კაპიტან-დირექტორი პეტრე აბრამია და მისი თანაშეწი პოლიტნაწილში ვალერი პეტროუშინი. ეკიპაჟის შემადგენლობაში ძირითადად ახალგაზრდა მეზღვაურები არიან.

როგორც საოკეანო ვიზიტის სამმართველოში გვაცნობეს, ტრაულერი „შოთა რუსთაველი" რეისზე დაპყოფს შვიდ თვეს. მისმა ეკიპაჟმა გეგმით უნდა დაიჭიროს 4.300 ტონა ხარისხოვანი თევზი.

ა. კომპახიძე.

მოჩუხჩუხებს „საირმე"

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). თავისი სამკურნალო თვისებებით ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში დიდი მოწონებით სარგებლობს მინერალური წყალი „საირმე".

მინერალური წყლის ჩამომასხმელმა ქარხანამ (დირექტორი ალ. კაკაძე) აპრილის დავალება ვადაზე ერთი კვირით ადრე გაანაღდა. ჩამოასხმელია და მომზმარებელს გაეგზავნა ნახევარ მილიონ ბოთლზე მეტი მინერალური წყალი.

ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილებაა გეგმით გათვალისწინებული 4 მილიონი ბოთლის ნაცვლად მომდინარე სეზონში 4 მილიონ 200 ათასი ბოთლი „საირმე" ჩამოასხას.

ახალი ამბები • ცნობები •

ეუსიკალური გაზაფხული

• **გვესაუბრება კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, კომპოზიტორი**

ო. თაქთაქიშვილი

◆

7 მაისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში საზეიმოდ გაიხსნება ამერიკაკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე კონკურსი. ეს სამი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემოქმედებითი ახალგაზრდობის თავისებური ახგარიშია.

ამერიკაკავკასიის პირველი კონკურსის შემდეგ, რომელიც ბაკოში გაიმართა, 4 წელი გავიდა. ამ შეხვედრამ გამოავლინა ნიჭიერი მუსიკოსები, რომლებსაც მაკფიო შემოქმედებითი ინდივიდუალობა და შესრულების მაღალი ტექნიკა აქვთ. ამერიკაკავკასიის პირველი კონკურსის ლაურეატები საქართველოდან გახდნენ ა. ნიჟარაძე, ბ. დიმიტრიადი, ჯ. ბალანჩივაძე, ც. კვერნაძე (როიალი), ი. იაშვილი, რ. ჯანდიერი (ვიოლონი), ვ. ისაკაძე (ვიოლონჩელო), ი. ლეიფი (ალტი).

გასული ოთხი წლის მანძილზე აღიზრდნენ ახალი შემსრულებლები, რომლებსაც უნარი შესწევთ ღირსეული წვლილი შეიტანონ საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

ამიერკავკასიის პირველი კონკურსისაგან განსხვავებით ახლანდელ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ვოკალისტებიც. ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე კონკურსში ერთმანეთს შეეჯიბრება 25 პიანისტი, სიმებიანი საკრავთა 27 დამკვრელი, 23 ვოკალისტი. ეს არის ნიჭიერი ახალგაზრდობა — მუსიკალური სკოლებისა და კონსერვატორიების მოსწავლეები, სტუდენტები და პედაგოგები, კონცერტმაისტერები, მასხიერები, ოპერისა და ფილარმონიის ორკესტრის მასხიერები.

კონკურსი მოეწყობა სამ ტურად. ლაურეატთა დასკვნითი კონცერტი და გამარჯვებულთათვის დიპლომების გადაცემა გაიმართება 21 მაისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში.

ქართველ შემსრულებელთაგან კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ პიანისტები — თბილისის კონსერვატორიის ასპირანტი ნ. თევზაძე, მეორე მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეები მ. დოიჯაშვილი და თ. მათურელი, კონსერვატორიის სტუდენტები რ. შამლიაშვილი, ნ. კერესელიძე, ნ. ხუბუტია, ვ. ძამაშვილი, მ. პოღოსოვა, საქართველოს ფილარმონიის სოლისტი ვ. გულისაშვილი; მევიოლინეები — თბილისის კონსერვატორიის ასპირანტი თ. ბალიაშვილი, ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეები ნ. იაშვილი და ლ. ჩხეიძე; ვიოლონჩელისტები — კონსერვატორიის სტუდენტი დ. ბასაძე და მეორე მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლე ნ. ბაჩაბელი; კლარნეტისტი — კონსერვატორიის სტუდენტი ლ. ...; ალტისტები — ...ლავა, მ. ქასარაშვილი, ვ. გარსევანიშვილი, ვ. ...ბლაშვილი, ვ. სმოროდინოვა, ა. შომახია, ვ. მარტინენკო, მ. ალატაური. კონსერვატორიის კურსდამთავრებული ა. ფიროცბალავა.

კონკურსის ჟიურიში შედიან თვალსაჩინო საბჭოთა მუსიკოს-შემსრულებლები: სსრ კავშირის სახალხო არტისტები დ. ანდღულაძე, თ. საბინდარიანი, შ. მამედოვი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვ. დავიდოვი და სხვები. პიანისტთა კონკურსის ჟიურის მეთაურობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე, ვოკალისტებისას — კომპოზიტორი ტ. კულიევი, სიმებიან საკრავებზე დამკვრელებისას — ერეკვნის კონსერვატორიის რექტორი ლ. სარიანი.

(საკ. ფეხი).

ცეკვის დღესასწაული

ბაკაბ, 5 მაისი. (საკ. ფეხი). ანსამბლის კონცერტები იქცა „ცეკვის მჩქეფარი დღესასწაულად", — წერს გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი" ბოლანდიაში საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლების გამო. გაზეთი ანსამბლის კონცერტებს უწოდებს „საოცარ სპექტაკლს, რომელიც გაოცებს თავისი ტემპითა და ტექნიკით".

გაზეთი „დე ტელეგრაააფი" აღნიშნავს, რომ ქართული ანსამბლის კონცერტები ბაკაში „ნათელი და ალმაფრთოვანებელი მოვლენაა, რომელმაც საზოგადოების უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია". საოცარი ქორეოგრაფიის წარმატებით ავსებს კოსტუმების სიმდიდრე და თავისებური სიმღერა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

თქვენ ალბათ იცნობთ მათ — თბილისის ტელევიზიის დიქტორებს ლია მიქაძეს, ჯულიეტა ვაშაყმაძეს, ფანერა ასლამაზაშვილს და ალექსანდრა მაჭავარიანს. ეს სურათი ჩვენმა კორესპონდენტმა ს. კილაძემ გადაიღო გუშინ, 6 მაისს — რადიოს დღესთან დაკავშირებით.

ბრძანება

თბილისის გარნიზონის ჯარების

№ 21

1965 წლის 6 მაისი

ქ. თბილისი

თბილისის გარნიზონის ჯარების 1965 წ. 9 მაისის პარადის შესახებ

§ 1

1965 წლის 9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მე-20 წლისთავის აღსანიშნავად, რუსთაველის პროსპექტზე 10 საათზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ა. ტ. სტუჩენკო.

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

ნაწილების მეთაურებმა პარადზე გამოიყვანონ ჯარები დამტკიცებული განრიგების მიხედვით. რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 9 საათსა და 40 წუთზე.

ტანსაცმლის ფორმა სახაფხულო, საპარადოა.

§ 3

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოლკოვნიკმა მ. ა. დუბოდელმა მოახდინოს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

§ 4

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობისა და გავლის დროს წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებ თბილისის გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ მ. ა. დუბოდელს.

თბილისის გარნიზონის უფროსი სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი

ლუგოვცევი.

ფეხბურთის მოედნებზე

დუბლინის სიურპრიზი

მეგრობის ფეხბურთელთა თასის მფლობელმა ესპანეთის ნაკრებმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მოულოდნელად წაგო. დუბლინში ესპანელები დაამარცხა ირლანდიის ნაკრებმა გუნდმა ანგარიშით — 1:0. ბურთი გაიტანა ესპანელთა მეკარემ ირიბარმა.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევ მატჩში შვეიცის ფეხბურთელებმა საკუთარ მოედანზე ადვილად მოუგეს კვიპროსის ნაკრებ გუნდს. მატჩის ანგარიშია 3:0. ორი ბურთი გაიტანა შვეიცის ნაკრების ვეტერანმა ცენტრფორვარდმა აგნე სიმონსონმა. (საკ. ფეხი).

ს. მეტიუზი კოპენჰაგენში

კოპენჰაგენი, 6 მაისი (საკ. ფეხ). ინგლისის კლუბმა „სტოკ-სიტიმ" ამხანაგური შეხვედრაში დაამარცხა დანიის დედაქალაქის ნაკრები გუნდი ანგარიშით 4:1. პირველ ტაიმში „სტოკ-სიტის" ღირსებას იცავდა ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი სერ სტენლი მეტიუზი.

„ლოკომოტივი" დაამუხრუჭეს

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე სსრ კავშირის თასზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა" და ლვოვის „კარპატის" გუნდები.

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა ბრძოლა მაღალ ტემპში წარიმართა. ანგარიში მე-7 წუთზე **ახალკაცმა** გახსნა, მაგრამ სტუმრებმა მაშინვე, გოლით უპასუხეს. ბურთი გაიტანა **კულჩიცკიმ.** ანგარიში — 1:1 ტაიმის ბოლომდე არ შეცვლილა.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე „ლოკომოტივის", მცველთა და მეკარე რუხაძის შეცდომა კარგად გამოიყენა **გუსევმა** და თავიური დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი. მასპინძელთა ყოველგვარ ცდას, აღედგინათ წონასწორობა, მათთვის სასურველი შედეგი არ მოუტანია. გაიმარჯვეს ლვოველებმა ანგარიშით 2:1.

ამრიგად, თბილისის „ლოკომოტივი" გამოეთიშა სსრ კავშირის თასისათვის მებრძოლთა რიგებს.

◆

ჩ. ხოლმოვი ღიღერობას განაგრძობს

გუშინ მოეწყო რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება.

ჩხაიძე ბრძოლის განუახლებლად დანებდა ალფრინდაშვილს, ბოჟოჩავამ მოიგო გამრეკელს, ლომაიამ — ჩხაიძეს, ჯინჯიხაშვილმა — მაჭავარიანს, ვეტოხინმა — ბერაძეს

რვა ტურის შემდეგ **რ. ხოლმოვს** 6,5 ქულა აქვს, **ვეტოხინს**—6 ქულა, **ჯინჯიხაშვილს** — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

„სტოკ-სიტი" სსრ კავშირში გამართავს სამ მატჩს: **12** მაისს შეხვდება „სპარტაკს"; **15** მაისს — „ზენიტს" და **18** მაისს — „ჩერნომორეცს".

„ვარსკვლავთა" მოგზაურობა

ლონდონი, 6 მაისი. (საკ. ფეხ). ეროლის ფეხბურთის ფედერაციამ დასახელა 14 ფეხბურთელი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მომავალ მატჩში. ეს მატჩი გაიმართება 23 მაისს მოსკოვში. ამ თამაშისათვის იტალიიდან სპეციალურად გამოიძახეს 32 წლის ნახევარმცველი **ჯონ ჩარლზი.** გარდა ჩარლზისა კანდიდატთა შორის არიან: მეკარეები — **სპრეიკი** და **ჰოლიზი,** მცველები — **როდრიგესი,** **გრინი** და **უილიამსი,** ნახევარმცველები — **ჰენსონი, ინგლენდი, ჰოული,** თავდამსხმელები — **ჯონსი, ოლჩერჩი, დეივსი, ვერნონი** და **რიიზი.**

ჩვენი კლანეტის ამინდი

მზე და წვიმები

აპრილში ჩვენი ქვეყნის ევროპულ ტერიტორიაზე მშრალი, მზიანი ამინდი იდგა. ღამღამობით გრილოდა, ადგილ-ადგილ მცირე ყინვები იყო, დღისით კი ტემპერატურა 15—17 გრადუს სითბოს აღწევდა, და არა მარტო სამხრეთში, არამედ ჩრდილოეთ რაიონებშიც. ეს ამინდი მოიტანა ანტიციკლონმა, რომელიც თანდათან დასუსტდა და ურალს გაღმა გადავიდა. ჩვენი ქვეყნის ევროპული ტერიტორიის ძნიშვნელოვან ნაწილზე ამინდი მერყეევი გახდა. ბელორუსიაში, უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქებში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, ვოლგოგრადის, სარატოვის, კუიბიშევის ოლქებში წვიმებმა გადაიარა. ბევრ რაიონში გაზაფხულის პირველმა ელჭექმა დაიქუხა.

სითბო ცოტა იყო. მხოლოდ სამხრეთ უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში ტემპერატურა ადგილ-ადგილ 20 გრადუსს აღემატებოდა. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე ზაფხულივით თბილი დღეები დადგა: თერმომეტრი 27—31 გრადუსს უჩვენებდა. მაგრამ აქაც ხშირად ცა იღრუბლებოდა და წვიმდა. წყალი ზღვაში ნელა თბებოდა, მისი ტემპერატურა ახლა 11—18 გრადუსს არ აღემატება.

მოელიან, რომ უახლოეს დღეებში ხმელთაშუა ზღვის ციკლონები შავ ზღვაზე გავლით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადაიწევენ, ამიტომ ჩრდილოეთ კავკასიაში და ქვემო ვოლგაზე მოსალოდნელია თბილი ამინდი კოკისპირული წვიმებითა და ელჭექით. წვიმები გადაივლის ცენტრალურ რაიონებში, შუა ვოლგაზე, აგრეთვე შუა და სამხრეთ ურალზე და მის მომიჯნავე უანბეთის რაიონებში.

ბარენცის ზღვაზე ახალი ანტიციკლონი გაჩნდა. ვარაუდობენ, რომ იგი ნელა გადმოიწევს სამხრეთისაკენ. მურმანსკისა და არხანგელსკის ოლქებში, კარელიაში ღამეები ცივი გახდება. დღისით 5—7 გრადუსი სითბო იქნება. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში წვიმები იქნებს. მოლდავეთსა და უკრაინაში გადაივლის ხანმოკლე წვიმები, აქა-იქ ელჭექით. შუა აზიის რესპუბლიკებში მეტწილად მშრალი ამინდი იქნება დაახლოებით ოცდაათი გრადუსი ტემპერატურით. კვლავ დაიწყება დათბობა ომსკის, ნოვოსიბირსკისა და ტომსკის ოლქებში.

ანტარქტიდაში, მირნში ძლიერი ქარბუქი დაიწყო. სადგურ ვოსტოკში მოწმენდილია და წყნარი ამინდი დგას. ტემპერატურა — 54 გრადუსი ყინვა.

ბ. მიხაილოვა,
პროგნოზების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ქვლავ მოულოდნელობა

გუშინ ვოლგოგრადში გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგი ტურის მატჩები. ყველა წაბორძიკა თბილისის „დინამომ", ხმაკერად მან წაგო ლენინგრადის „ბალტიკასთან" 3:5. დამარცხება განიცადა აგრეთვე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა დედაქალაქის „დინამოსთან" 1:2. მოსკოვის „ტორპედომ" მოუგო ლვოვის „დინამოს" 3:0, სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდმა — ბაკოს კკფ-ს 2:1, ალეფის „დინამომ" — ეოლგოგრადის „სპარტაკს" 2:1, მინსკის „ბურევესტნიკმა" — მოსკოვის „შრომითი რეზერვების" 5:4.

დიდებული ჰანგები

მოსკოვში ღაიწყო პ. ი. ჩაიკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფესტივალი.

125 წლის წინათ 25 აპრილს (ახალი სტილით 7 მაისს) ვოტკინის გუბერნიის პატარა სოფელ ეოტკინსში დაიბადა დიდი რუსი კომპოზიტორი პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკი. მისმა შემოქმედებამ მის სიცოცხლეშივე უფართოესი აღიარება ჰპოვა და მოწინავე რუსული კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა. უდიდესი იყო მის ნაწარმოებთა ზეგავლენა რუსულ მუსიკაზე.

დღეს ჩაიკოვსკის მუსიკა მილიონობით აუდიტორიას ეკრებს.

საბჭოთა კავშირში ჩაიკოვსკის მუსიკა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, ხოლო მისმა ავტორმა მსმენელთა მხურვალე სიყვარული დაიმსახურა.

მაისი, გაზაფხულისა და ახალგაზრდობის თვე, ჩაიკოვსკის შემოქმედების დღესასწაულია — მოსკოვში მისი სახელობის ფესტივალი იმართება. მასში მონაწილეობს დედაქალაქის ყველა მუსიკალური დაწესებულება. შესრულდება კომპოზიტორის ნაწარმოებები — ოპერები, ბალეტები, სიმფონიები, კონცერტები, რომანსები. სცენის საუკეთესო ოსტატები თავიანთი შემოქმედებით სცენენ პატივს მის ხსოვნას.

— ჩვენს რეპერტუარში ჩაიკოვსკის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, — განუცხადა ახალი ამბების საკორესპონდენტს მიხეილ ჩულაევმ, სსრ კავშირის ავადმყოფური დიდი თეატრის დირექტორმა. — ეს ის კომპოზიტორია, რომლის შემოქმედებასაც თეატრს კოლექტივი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მამართავს. სხვადასხვა ეტაპზე რეპერტუარში ჩაიკოვსკის ნაწარმოებები სხვა დასხვა რაოდენობით შედიოდა. ახლა ეს სია ყველაზე სრულია. ჩვენთან იდგმება დიდი კომპოზიტორის სამი ოპერა — „პიკის ქალი", „ევგენი ონეგინი" და „ჯადოქარი"; სამი ბალეტი — „მძინარე მზეთუნახავი", „გედის ტბა", „შჩელკუნჩიკი".

იუბილესათვის განვაახლეთ „პიკის ქალისა" და „ევგენი ონეგინის" დადგმა. გამოდიან ახალი შემსრულებლები, ბევრი სურათი შეცვლილი დეკორაციებით იდგმება. მომდინარე წლის დამლევისათვის ვფიქრობთ განვაახლოთ ოპერა „მაზეპა", რომელიც რამდენიმე წლის წინათ შედიოდა ჩვენს რეპერტუარში. მაისის ფესტივალში თეატრის კოლექტივი ქმედით მონაწილეობას იღებს. მისთვის მზადება დიდი ხანია დაიწყო. ფესტივალის დღეებში თეატრის სცენაზე დაიდგმება ჩაიკოვსკის ოპერები და ბალეტები. გარდა ამისა, ჩვენი საუკეთესო მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას ჩაიკოვსკის ნაწარმოებებისაგან შედგენილ დიდ კონცერტში.

გ. ბელსკაია.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1965 წლის 20 მაისს დღის 1 საათზე № 87 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 3) ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მაზნია აკაკის ასული ბუაჩიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**სილიციუმ და გერმანიუმშემცველი ეთილენური და გერმანიუმშემცველი ვინილაცეტილენური გლიკოლების სინთეზი და ზოგიერთი გარდაქმნები**".

20 მაისს დღის 1 საათზე ქიმიის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 3) ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ზოთა იოსების-ძე სიდამონიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**ალუმინის გამა ყანგის ფორიანობის გავლენა მის ადსორბციულ და კატალიზურ თ